ეროვნული ბიბლიოთეკა

# 26 მაისი

1918
1921
1990

„სახალხო განათლების“ და „შანსის“ ერთობლივი ერთჯერადი გაზეთი ფასი 50 კაპ.







Р. С. Ф. С. Р.
Секретарь Члена Революционного Военного Совета
Кавказского фронта
192 г. Красная Армия.

Ленину, Сталину
Баку 25/III 21 г.
Над Тифлисом реет
красное знамя Советской
власти
Да здравствует Советская
Грузия!
Орджоникидзе



# ეროვნული თავდადებისათვის

საქართველოს ეროვნულ სხეულს დაჭრას და დანაწილებას უქადიან. საქართველოს არსებობას განსაცდელს უმზადებენ. ჩრდილოეთით თუ სამხრეთით ემუქრებიან ჩვენს მიწა-წყალს, თავისუფლებას.

დღეს, კარზე მომდგარმა განსაცდელმა [illegible] ქართველი ერი და [illegible] ... საქართველო ერთობით, ეროვნული ერთობით!

ასეთ ეროვნული განწირულების ჟამს, როდესაც სამშობლო მოელის ერის [illegible] ... ყველა [illegible] ... და მშობლიური ერის!

ვინც ამ განსაცდელის ჟამს ქართველი ერის [illegible] ... მოღალატეა ... ყველა კლასის და ყველა ჯგუფის წინაშე!

საქართველოს და ყველა მის ნაწილებს, ქართველ ერს და ყველა მის ჯგუფებს და წრეებს, მხოლოდ ხალხური გაერთიანება და [illegible] ... თავისუფლება!

მამულიშვილებო, ხალხოსნებო! [illegible] საქართველოს მოვალეობა უფრო მეტად დღეს ეხმარება. დღეს შეხვედრა მის ძალა და ღონე თავის მიწა წყალს და არსებობას დაცვაცვად.

დაუყოვნებლივ საჭიროა მტკიცე ეროვნული მთავრობა, რომელიც ფეხზე დააყენებს ქართველ ერს, თავის არსებობის და შემოქმედების კერას დასაცავად.

დაუყოვნებლივ საჭიროა შეუდგეთ! დავდგეთ ფეხზე ამ განსაცდელის დამხვდურად! ვიარაღდეთ მხოლოდ, რომ ქართველ ერს თავისი ეხმაროს და საქართველოს სამშობლო მიწა წყალს გაუმარჯოს ეროვნული ძალლებით და[illegible].

„საქართველო", 1918 წ. 21 (8) თებერვალი.

# ერი და თავისუფლება

**ოცდა-ექვს** მაისს გამოცხადდა საქართველოს დამოუკიდებლობა.

დაუვიწყარი დღეა!

ასი წლის მონობამ მოადუნა ქართველი ერის სხეული და შეუხუთა კუნთები; უკიდურესმა კლასობრივ ბრძოლის მოძღვრებამ მის გონებას გადაუბნია ისეთი ბურუსი, რომ იმ ბურუსში კინაღამ ჩაიმარხა უაღრესი ღირებულება — ეროვნული განთავისუფლება. მაგრამ ალბათ არის რაღაც საიდუმლო ძალა, რაღაც იდუმალი განგება, რომელიც ქმნის ისტორიას და მიაქანებს მთელ კაცობრიობას მისდა დაუკითხავად. თავისუფლებისა და მსოფლიო ძმობისაკენ.

აქ ახალი არაფერია: თავისუფლება ყოველთვის იყო სანატრელი, ყოველთვის ითხოვდა მსხვერპლს და სისხლს, მაგრამ, როგორც ყველა არა, ერთი ნაწილი ჩვენი მოღვაწეების სრულ იმის ქადაგებაში იყო, რომ სამშობლო არ არის, რომ იგი მოგონილია მხოლოდ ბურჟუაზიის და აზნაურების მიერ...

მაგრამ მოქმედებს საიდუმლო ძალა და ჰქსოვს ეროვნულ სულს. ჩვენ გვყავს ჩვენი პარლამენტი, ჩვენ მოვაწყვეთ ჩვენი მთავრობა, ადმინისტრაცია, სასამართლო; ჩვენ შევქმენით ეროვნული ჯარი და ყოველ წამს მზადა ვართ დავიცვათ საქართველოს საზღვრები...

რასაკვირველია, ბევრი რამ გვაკლია, ჯერ კიდევ გვჭირია დიდი შრომა, თავგანწირული მუშაობა და მიზანშეწონილი მოქმედება. ბევრი რამ არ არის გაკეთებული როგორც რიგია, ბევრი — ხელახლად დასანგრევია და ხელახლად ასაშენი, მაგრამ რაც გინდა იყოს

უზენაესი პრინციპი ცხოვრებისა და საერთაშორისო განწყობილებისა, პირველად იყო გამოცხადებული საფრანგეთის დიდი რევოლუციის მიერ. საფრანგეთიდან ეს პრინციპი წამოვიდა ნაპერწკლებივით და მოედო მთელ ევროპას, აამოძრავა სხვადასხვა დამონებული ერები და შეარყია სხვადასხვა სახელმწიფოები. ევროპამ, რასაკვირველია, ბრძოლა გამოუცხადა და გამწარებით აქრობდა აქა-იქ გადმოცემულ ნაპერწკლებს... ბოლოს მაინც გაერთიანდა გერმანია, განთავისუფლდა იტალია, იგემეს ეროვნული განვითარება ბალკანეთის სხვადასხვა ერებმა... და ბოლო დროს ამ მსოფლიო მოძრაობის იდუმალ ტალღამ მოაღწია ჩვენს ქვეყნამდეც.

მსოფლიო ომმა დაანგრია რუსეთი, დაამსხვრია მონობის ჯაჭვი და საქართველოს მოდუნებულმა სხეულმა იგრძნო თავისუფლება.

მაგრამ იგრძნო კი? ვაი თუ ვერა. სიბნელეს მიჩვეული თვალი ხშირად სინათლეს ვერ იტანს, მონობას მიჩვეულ ადამიანს ერთხანს რჩება მონური მიდრეკილება, იგი ბატონს ეძებს, იმას უბატონოდ ცხოვრება ვერ წარმოუდგენია, იგი დარწმუნებულია, რომ ბატონი უსათუოდ მოვა, მხოლოდ არ იცის ვინ იქნება ის ბატონი: რუსი, თურქი, ინგლისელი თუ გერმანელი?! ამ სამარცხვინო ფსიხოლოგიის შექმნაში ჩვენც დიდი ბრალი მიგვიძღვის. თუ პესსიმისტობას ადგილი არა აქვს. შინაგანი სახელმწიფოებრივი კონსოლიდაცია უნდა მოხდეს, მაგრამ დიდი შეცდომა იქნება, თუ მარტო პროცესს მივენდევით და თვით ჩვენი შრომით და მოქმედებით არ ავაჩქარეთ ეს პროცესი...

ჩვენ ბევრსა ვყვირით ჩვენს დემოკრატიაზე და დემოკრატიზმზე. მაგრამ დამერწმუნეთ, რომ ჯერ კიდევ, რიგიანად არა აქვს ხალხსა შეგნებული ეს დიადი ღირებულება. ხალხი თეორიას არ მისდევს, იგი უსაშუალოდ სჯის და ეხლანდელი ცხოვრების სიდუხჭირე ხშირად ჰგონია სწორედ შედეგი ამ თავისუფლებისა, განა ახლაც არ ისმის აქა-იქ უმეცარი ხმები: რა მოგვიტანა თქვენმა ქებულმა რევოლუციამ? რა ჰყრია თქვენს თავისუფლებაში? პური არა გვაქვს, შეშა არა გვაქვს, შიმშილით და სიცივით ვიხოცებით?! არ უნდა ავუხსნათ, რომ ამ მოვლენებს არავითარი კავშირი არა აქვს პოლიტიკურ განთავისუფლებასთან? არ უნდა გავაგებინოთ ხალხსა, რომ შიმშილი და წყურვილი გამოწვეულია სულ სხვა მიზეზებით, რომ ეს შედეგია არა პოლიტიკური თავისუფლებისა, პირიქით, სწორედ იმისი, რომ ეს თავისუფლება ჯერ არ არის სრულიად დამყარებული და გატარებული ცხოვრებაში და საერთაშორისო განწყობილებაში: არ არის თავისუფლება მისვლა-მოსვლის, ალებ-მიცემობის, ვაჭრობის და სხვ. შინ ჯერ კიდევ არ არის განმტკიცებული ავტორიტეტი ჩვენი მთავრობისა, იმის მოქმედებას ჯერ კიდევ წინ ეღობება სხვადასხვა მოწინააღმდეგე ელემენტები, ჯერ კიდევ არა ვართ ყველას მიერ ცნობილი, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო, ამიტომ, როგორც შინ, ისე საერთაშორისო არეში, არეულია და აწეწილ-დაწეწილი ეკონომიური და კულტურული ძალები.

თავისუფლება სწორედ იმიტომ გვინდა, რომ ბოლო მოეღოს ამისთანა მდგომარეობას. მაშინ, ბოლო მოეღება შიმშილსაც და წყურვილსაც. ამოძრავებდა ეკონომიური და კულტურული ძალები და ცხოველმყოფელი სულთქმა თავისუფლებისა, ერთიანად გარდაქმნის ჩვენს ცხოვრებას. ჩვენ, მართალია, პროლეტარები კი არა ვართ, ჩვენ გვაქვს აღურიცხელი მილიარდის ქონება. იგი აქ აწყვია ჩვენ წინ, თქვენ ფეხქვეშ. იგი დამალულია ჩვენს მთებში, ჩვენს მიწა-წყლებში და ჩვენს ჰაერში. უნდა მხოლოდ ცოდნა და განვითარება, რომ მოვიხმაროთ ეს დიადი ქონება, უნდა თავისუფლება, რომ ცოდნაც მივიღოთ და განვითარებაც, რომ ხელს არ გვიშლიდეს იმ დიადი შრომის დუღილში და ჩვენვე შევქმნათ ჩვენი სიმდიდრე და ბედნიერება.

ამისათვის საჭიროა, რომ ხალხმა გაიგოს ნამდვილი შინაარსი მომხდარი რევოლუციისა. „ინტერნაციონალი" კარგია თავის დროზე და თავის ადგილას, მაგრამ მარტო „ინტერნაციონალზე" ყვირილი არის დამარხვა და დასამარება, ჩვენი პოლიტიკური თავისუფლებისა. სახელმწიფო არ არის საკუთრება ერთი რომელიმე კლასისა, სახელმწიფო ყველასია, სახელმწიფო მთელი ერისაა; ამიტომ, მთელმა ერმა უნდა შეიგნოს, თუ რა დიდი ღირებულებაა პოლიტიკური თავისუფლება.

როცა გრგვინავს, ჩვენში ამბობენ — „წმინდა გიორგი მიაქროლებს თავის რაშსო". ხალხის შეგნებაც უნდა იყოს ღრმა და ბრწყინვალე, როგორც ცის კამარა; თეთრი გიორგი, ემბლემა, თავისუფალ საქართველოსი, უნდა იქ დააქროლებდეს თავის რაშს, უნდა ისმოდეს განუწყვეტელი გუგუნი ხალხის გულში და გონებაში ეროვნული ღირსებისა და ეროვნული პატიოსნებისა.

მაშინ მონების ქვეყანა გადაიქცევა ისევ გმირების ქვეყნად.

გაუმარჯოს თავისუფალ საქართველოს!
გაუმარჯოს ხალხოსნურ რესპუბლიკას!

**გიორგი გვაზავა**

(„საქართველო", 1918 წ. 4 ქრისტეშობისთვე).

# განწმენდის გზით

**ჩვენი** მიმართულების იდეოლოგიური ცხოვრება ოთხი წელიწადია რაც დაიწყო. მისი ორგანიზებული დაწყება კი — სულ რაღაც ერთი წელიწადია. პირველი მოხდა მსოფლიო ომის პირველსავე წლის განმავლობაში, მეორე — რევოლუციის ქარიშხლის პირველ ამოვარდნის დროს. მთელი ეს პერიოდი სოციალ-პოლიტიკურ ცხოვრების ჯერ შევიწროებისა და მერე ანარქიული აშლის პერიოდია, როგორც რუსეთსა, ისე საქართველოში. კერძოდ, საქართველოს საზოგადოებრივ-იდეოლოგიური შენობა იყო უაღრესად სოციალისტური და ინტერნაციონალისტური.

ეროვნება და ეროვნული არ არსებობდა ქართველის შეგნებაში, როგორც ძირითადი ნორმა არარაობიდან საქართველოს სახელმწიფოს აღმოზიდვის. კერძო საკუთრება — ძირითადი საფუძველი ქართველი ხალხის სამეურნეო შრომისა — მავნე ინსტიტუტად გამოცხადდა და ბრძოლა დაუწყეს. ამგვარად, საქართველოს სხეულიდან იდეოლოგიურად ამოკვეთეს ცნება ეროვნული და ცნება საკუთრება. დაიმარხა ცოცხალი და ხორცშესხმული ორგანიზმი და საქართველოს დოსტაქრებს მისგან ხელში ერთი-ღა ლანდი შერჩათ, მარტოოდენ აბსტრაქცია.

რეალური საქართველო და იდეოლოგიური საქართველო ერთი მეორეს ზურგ-შექცევით დაუდგა, რამაც ბევრი და ბევრი უბედურება წარმოშვა.

ასე რთულად იყო აწეწილი საერთოდ რუსეთისა და კერძოდ, საქართველოს ცხოვრება, როდესაც ჩვენ გამოვედით. ეროვნება და საკუთრება ქვაკუთხედად დავისახეთ საქართველოს სახელმწიფოებრივი აღორძინებისათვის. როგორც სოციალიზმისა და ინტერნაციონალიზმის ოპოზიციამ, ჩვენმა იდეოლოგიამ საქართველოში დიდი გამოხმაურება მიიღო. ხალხი გარსშემოგვადგა და მოგვყვა. როგორც ყოველთვის ხდება ხოლმე, ამ პარტიული მასიდან ვინ ერთ დებულებას აქცევდა ყურადღებას, ვინ მეორეს, პირადი შეგნებისა და ინტერესის მიხედვით. ცნობილია, რომ ერთი და იგივე ფაქტი, თუ პრინციპი, სხვადასხვანაირ ემოციას, წარმოდგენასა და ახსნას იწვევს ხოლმე ადამიანში, სხვადასხვანაირ ლოგიკურ დასკვნამდინაც მიჰყავს იგი. ამის სეკრეტი პიროვნების ინდივიდურ ორგანიზაციაში მარხია. შეუძლებელი იყო, ჩვენი მიმართულების მთავარ დებულებებზე სხვადასხვა ზრახვის, წარმოდგენის და მიზნის ხალხი არ შემდგარიყო და ჩვენს საერთო მიმდინარეობაში არ მოქცეულიყო. მაგრამ იდეოლოგიურად ხელმძღვანელი წრე ამ მოვლენას ვერ შეამჩნევს და მასზედ ზემოქმედებას ვერ მოახდენს, ვიდრე იგი მოვლენა მოქმედების ფაზაში არ გადავა და გარეთ არ გამოცხადდება. ჩვენი ორგანიზაციული ცხოვრების სიმოკლე და აღნიშნული სოციალ-პოლიტიკური სირთულე ამის საშუალებას არ იძლეოდა. ყველა ამის მიზეზით, ჩვენს იდეოლოგიურ კონსტრუქციას და პარტიულ შენობას მოსდევდა ბევრი მარქაფა ხალხი. საქართველოს დამოუკიდებლობის დამყარებამ, ძირიანად გადაატრიალა ქართული ენის წარმოდგენა და სინამდვილე. პრაქტიკულად მოიხსნა საქართველოს ეროვნული საკითხი, როგორც პოლიტიკური ძიებისა და მიღწევის საგანი. მანვე ხელი შეუწყო ქართველი საზოგადოების დანაწილებას ნივთიერი და პოლიტიკური ინტერესების მიხედვით და ამ მხრივ, გაამარტივა შინაური თვითგამორკვევა. ეხლა დასანახი გახდა, რისი შემჩნევაც წინათ შეუძლებელი იყო.

ამ მარქაფა ხალხის ზრახვამ, წარმოდგენამა და მიზანმა თავ-თავისი კონტური მიიღო. ჩვენი მიმართულების დებულებათა თავისუფალი ინტერპრეტაცია დღეს სარფა გამოდგა და ამ ხალხისათვის და ჩვენს პარტიულს ცხოვრებაში მთავარ და ძირითად მიმდინარეობის გვერდით შემოილანდა იმავ ფირმის ქვეშ, მეორე ნაკადი, როგორც ითქვა, კონტრაბანდით შემოხიზნული. ამგვარად, პარტიულ დედა-კალაპოტში თავი მოიყარა მოპირდაპირე და ერთი მეორის გაბათილებულმა იდეოლოგიურმა, ტემპერამენტულმა და მოქმედებითმა ენერგიამ.

მოპირდაპირე პარტიები და გარეშე ძალები ჩვენთვის უვნებელი იყვნენ. სინამდვილემ ისინი დაამარცხა; თითქმის არც ერთი იდეოლოგიური დებულება მათ ცოცხალი არ გადაურჩინა ჩვენი განვითარების შემჩნეველმა ძალამ თვით ჩვენს წრეში დაიბუდა. ამას გრძნობდა ჩვენი პარტიის ცოცხალი და მოზარდი ორგანიზმი და არა ერთხელაც აბორგებულა კიდევაც რომ ჰაერი გაეწმინდა და სალის ფილტვებით ესუნთქა.

დღემდის ეს მიზანი მიუღწეველი დაურჩა. დღეს კი ეს გადაუდებელ ოპერაციას წარმოადგენს. არასოდეს ასე მაღლა არ ასულა არც ინდივიდური და არც კოლექტიური პასუხისმგებლობა ჩვენი ქვეყნის წინაშე. გარკვეულის, ნათელის მიზნით, უნდა იდგეს, მოქმედების ნათელი გეგმა ეჭიროს ხელში, რომ ქვეყანამ იცოდეს, ვის რა წილი უდევს მისი ბედის ტრიალში.

ჩვენი პარტიის ინტერესი და პარტიის საშუალებით ქვეყნის სამსახურის მოვალეობა მოითხოვს თავი დავაღწიოთ ამარქაფებული ხალხის იდეოლოგიურ და ტაქტიურ ბალასტს. მაშინ მოისპობა თვით ძალაც, რომელიც ხუთავს პარტიულ მოქმედებას და განვითარებას. ამგვარ განწმენდაშია ჩამარხული წინდი ჩვენდამი კუთვნილი პოლიტიკური წონამნიშვნელობის განაღდებისა.

ამას ყველა გრძნობს, ამაში ყველა დარწმუნებულია. ამიტომაც, უზრუნველყოფილია ჩვენი პარტიის ყველა ნამდვილ იდეურ მუშაკთა, წევრთა და ყველა გულწრფელ თანამოაზრეთა ჩვენთან ერთად თანამშრომლობა და ჩვენთან ერთად სიარული პარტიულ განწმენდისა და თვითგანვითარების გზით.

**სპირიდონ კედია**

(„საქართველო", 1918 წ. 24 ენკენისთვე).

კოტე მაყაშვილი

## მოწოდება

მძიმე ღრუბელი ზეცას ატვირთებს,
გრიგალი მოჰქრის შორით მქუხარე!...
შავი ზღვის მკერდსა ხევდა აზვირთებს,
კოლხეთის მოთქმა ისმის მწუხარე!...

პირქუშ წყვდიადში, გზათა მცველები,
ვარსკვლავ-იმედნი კვლავ გვიქრებიან!
ბნელის მსახურნი, სისხლის მსმელები,
ცეცხლით, მახვილით გვემუქრებიან!..

სამშობლოს გულსა დასცეს მახვილი!
და თუ ლაჩრებად, ძმანო, არ გახდით,
ისმინეთ, ჩემი მკვეთრი ძახილი:
შეიარაღდით! შეიარაღდით!...

ფუ, ჩვენსა ყოფნას, ჩაბალახ ახდილს,
საქართველოს თვალს მტერს თუ გადავცემთ!..
ჩვენ წინაპართა მრისხანე აჩრდილს
საფლავში მკვნესავს — რა პასუხს გავცემთ?!

არა, არასდროს, ქართველთა სახელს,
ლომგმირობისა გვირგვინს არ ახდით!
მაშ მიაშურეთ თოფს და ხმალს დამხსნელს —
შეიარაღდით! შეიარაღდით!....

„საქართველო", 1918 წ. 7 (20) მარტი.

ს. აბულაძე

## ოც და ექვსი მაისი

ოც და ექვსი მაისი არის ჩვენი ხალისი:
ქართველებს დღე არ გვახსოვს ამის
შესადარისი...
მუდამ სიამოვნებით, გულის გამცისკროვნები,
გვეხსომება ეს რიცხვი, ოც და ექვსი მაისი!

ჩვენი დროშა სამფერი, ძმათა სისხლით ნაფერი,
აფრიალდა სახლებზე, ოქრომკერდით ნაკერი...
ბედმა ტყვეობიდანა მზეზედ ამოგვიყვანა,
ხელთ გვიპყრია ამაყად ჩვენი დროშა სამფერი!..

საქართველოს შვილები, დიდ ომ გადახდილები,
მზესავითა ბრწყინავენ, ბედით კმაყოფილები...
მდუმარებენ ორგულნი, მძულვარებით
მოკლულნი,
რადგან მხიარულობენ საქართველოს შვილები!..
არ დავუთმობთ არავის ფუძეს ჩვენი კარავის,
ლაგამს ავდებთ ენა-პირს მტაცებლის და
მპარავის...
და გავიტანთ ლხენსა: ახალ საქართველოსა,
სანამ სული გვიდგია, არ დავუთმობთ არავის!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სტოკჰოლმიდან:

## საქართველოს დელეგაციის ბ. თავმჯდომარეს პარიზში

● **1919 წლის 16 სექტემბერი**

**სასიროდ** მიმაჩნია გაგაცნოთ სკანდინავიის ქვეყნებში საქართველოს წარმომადგენლობის დღევანდელი მოქმედება. წარსული მუშაობის შესახებ ალბათ, უკვე მოგხსენდათ, რადგან წერილობითი ანგარიში ბ-ნ. ა. ჩხენკელის ხელით გამოვგზავნე, რა კი თქვენი მისამართი იმ ხანად არ ვიცოდი.

როგორც წინანდელს ანგარიშში მოგახსენებდით, თავიდანვე ჩემი მოქმედება, უმთავრესად, ჩვენი ქვეყნის საკითხის პროპაგანდასა და აგიტაციაში გამოიხატებოდა, როგორც ოფიციალურს წრეებში, ისე პრესასა თუ საზოგადოებაში. ამავე ხასიათისაა დღესაც ეს მუშაობა; როცა კი საშუალება და საბაბი მეძლევა, ვნახულობ მთავრობის წარმომადგენლებს, და ვუახლებ თხოვნას დახმარების შესახებ, აგრეთვე დიდი სახელმწიფოების ელჩებსაც. პრესას და საზოგადოებას ვაწვდი ცნობებს ჩვენი ქვეყნის შესახებ, ვავრცელებ თქვენგან და ბერნიდან მიღებულ ლიტერატურას და სხვ.

უნდა მოგახსენოთ, რომ ამ ბოლო დროს ინტერესი ჩვენდამი აქ, ცოტა არ იყოს, განელდა. ამის მიზეზი, ერთის მხრით, ჩვენი „სავაჭრო კომისიის“ მოქმედება იყო: ნახევარი წლის განმავლობაში თითქმის მთელი სკანდინავია აალაპარაკა თავისი ფანტასტიური ეკონომიური პროგრამით და გეგმებით; სხვა და სხვა სავაჭრო-სამრეწველო ფირმებთან მოლაპარაკება ჰქონდა გამართული აქედან საქონლის გატანისა და ჩვენიდან კი სამაგიეროს შემოტანის შესახებ, ზოგიერთთან პირობის დაწერამდეც მივიდა საქმე და, როცა ყველაფერი ეს უნდა განაღდებულიყო, ამ „ვაი-უშველებლისგან“ თვალსაჩინო აღარა დარჩა რა, რასაკვირველია, სავაჭრო კომისიის დანიშნულებას სრულიადაც არ შეადგენდა მყიდველ-გამყიდველის როლის თამაში, მაგრამ ეს ბოდიში როდი ამცირებს იმ ზიანს, რომელიც მისმა მცდარმა ნაბიჯმა მოიტანა, რადგან აქაურს სამრეწველო ჯგუფებს სწორედ ასეთი წარმოდგენა ჰქონდათ, რომ კომისია სავაჭროდ იყო აქ მოსული. მეორე და მთავარი მიზეზი კი — ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური მდგომარეობის გამოურკვევლობა გახლავთ. თუ იმთავითვე ეს ქვეყნები ასე გულმხურვალედ მოგვეპყრნენ, რასაკვირველია მათ უპირატესად ეკონომიური ინტერესი ამოძრავებდათ, როცა ამ წლის იანვარში პირველად ვინახულე შვეციის საგარეო საქმეთა მინისტრი, მან, ბაასის დასრულების შემდგომ, ვაჭრობა-მრეწველობის დეპარტამენტის უფროსის მისამართი მომცა და თან დასძინა: „როცა მას მოელაპარაკებით, დარწმუნებული ვარ, ჩვენი ურთიერთობა უფრო განმტკიცდებაო“, ხოლო დეპარტამენტის უფროსის პირველივე კითხვა ასეთი იყო: მდიდარია თქვენი ქვეყანა, რის მოცემა შეგიძლიათ, რომ ჩვენგან სამაგიერო მიიღოთ? როგორია თქვენი ფინანსები და სხვ. ამგვარი ომის სპეკულაციით გასუქებულ სკანდინავიას (განსაკუთრებით კი შვეციის) კაპიტალი დღეს თავის ტყავში ვეღარ ეტევა და უმოქმედო ასპარეზს ეძებს, მაგრამ ვერც ისეთი „რისკის“ გაწევას ჰბედავს, რომ მაგ. ჩვენს ქვეყანას მიმართოს მისი საერთაშორისო სიტუაციის გამოურკვევლობის გამო. „კაპიტალსო — მეუბნებოდა ამას წინად ერთი დიდი ფირმის წარმომადგენელი — მყუდრო და საიმედო ასპარეზი ესაჭიროება ნაყოფიერი მოქმედებისთვის; ვიცი, რომ თქვენი ქვეყანა განძის ქვევრია, ისიც კარგად ვიცი, რომ ქართველი წეს-რიგის და თავისუფლების მოყვარულია, მაგრამ დღეს რომ იქ კაპიტალი ჩავყარო და ხვალ, ვსთქვათ, „დემოკრატიულ“ კოლჩაკ-დენიკინის უფლება გეწვიოსო, ვინ არის იმის თავდები, რომ „მთლიანი და განუყოფელი“ რუსეთი იწამებს ჩემს მიერ გაწეულ შრომას და სამაგიეროს, ეკვივალენტს დამიბრუნებსო“.. შვეცია ყელამდეა ოქროთი სავსე. მხოლოდ ერთი ჩვენი აგრეწოდებული „თეთრი ნახშირის“ საკონცესიო გარანტიით შეიძლებოდა აქ მილიონების სესხად აღება, რომ ჩვენი პოლიტიკური ყოფა ასე სავალალო არ იყოს!

ამას წინად პიშონის განცხადებამ „კავკასიის რესპუბლიკებისა“ და საფრანგეთის მთავრობის ურთიერთობის შესახებ სრულიად გაუტეხა გული აქაურს ჩვენს მეგობრებს. უნდა მოგახსენოთ, რომ ფრანგულს გაზეთებში ხშირად ისეთი რამ იბეჭდება ჩვენს შესახებ, რომელიც მხოლოდ რედაქციების უვიცობით ვერ აიხსნება. ასე. მაგალითად, გაზ. „Le Temps“ 10 სექტემბრის მეთაურში, რომელიც ოსმალეთის მდგომარეობას ეხება, სხვათა შორის ამბობს: „საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის დადებულ საიდუმლო ხელშეკრულობა მიმართულია სომეხთა მოსახლეობის ბლოკადისაკენ. ამ ორ მოკავშირეთა და ოსმალთა სადღეისო საერთო ინტერესი ცხადი რამაა. ცხადია აგრეთვე, რომ მათ შორის მოლაპარაკება სწარმოებდესო“. ამავე გაზეთის ერთ-ერთს ნომერში კიდევ სტამბოლიდან დეპეშა იყო, სადაც ამტკიცებდნენ, რომ აჯანყებულ ოსმალთა მეთაურს ენვერ-ფაშას საქართველოს რესპუბლიკასთან აქვს საკავშირო მოლაპარაკებაო. ეს უკვე აშკარა პროვოკაციაა თუ ცილისწამება არა. თქვენ, რასაკვირველია, ასეთ ცნობებს საკადრის პასუხს გასცემდით, ხოლო თუ მოვიხსენიე, მოვიხსენიე იმიტომ, რომ ერთი აქაური გავლენიანი გაზეთი „Aftonbladet“ შემეკითხა: მართალია ეს ცნობაო, და მეც დამჭირდა მისი ოფიციალურად უარყოფა.

ჩვენი ქვეყნის ავისმდომლები თან და თან წელში იმართებიან, არავითარ საშუალებას არ ერიდებიან, რომ თავიანთ შავს მიზანს მიაღწიონ და განთავისუფლებულ ერებს კვლავ რუსობის მონური უღელი დაადგან. მთელი სკანდინავია და გერმანია მოფენილია საიდუმლო თუ ცხადი მონარქისტ-ავანტურისტთა ორგანიზაციებით, ამას წინად სტოკჰოლმის პოლიციამ აღმოაჩინა აქ ერთი ასეთი ორგანიზაციათაგანი, რომელსაც სათავეში უდგნენ ვინმე პოლკოვ. ხაჟელადეე (აქაურს რუს. კოლონიაში ხმა დადის: ქართველი ხანჯალაძეაო. მე ვერ მოვახერხე ნამდვილის შეტყობა) და ღენ. გისსერი. პოლიციის ცნობით, ამ ორგანიზაციას შეუპყრია, ვითომც გაუსამართლებია და შემდეგ მოუკლავს სამი პირი: არდაშევი, ლევიცკი და პელე, რომელთათვისაც ბოლშევიკების აგენტობა შეუწამებიათ. სასამართლოში ირკვევა, რომ ეს „მეფისთვის მებრძოლი“ კომპანია ცარცვა-გლეჯასაც არ თაკილობდა, თუმცა ისიც მტკიცდება, რომ ხაჟელადეეს ღენ. იუდენიჩთან ჰქონია მუდმივი მიწერ-მოწერა... რამდენადაც ძლიერდება კოლჩაკ-დენიკინების პრესტიჟი, იმდენადვე თავს მაღლა იღებენ ამ ჯურის „რუსეთის გამამრთელებელნი“, მთელი ციმბირი (თვით იქიდან მოსულთა თქმით) ყოფილ მეფის მოხელეთა და ჟანდარმთა ხელშია გაჩანაგებული და სულის მობრუნებას ვერა ჰბედავს, ხოლო სამხრეთ რუსეთში „დემოკრატიულ“ რეჟიმს ცნობილი კრივოშეინი ამყარებს, როგორც პრემიერი დენიკინის მთავრობისა. ამ დღეებში შევხვდი ერთს რუს ექიმს, რომელიც მინსკიდან მოვიდა ამ ქალაქის პოლონელების მიერ დაპყრობის შემდეგ. „განთავისუფლებულ“ ადგილებშიო, სთქვა მან, იმავე „მამაშვილურ“ განწყობილების სურათსა ჰხედავთ, როგორც წარსულში იყო: გუბერნიაში-გუბერნატორი, მაზრაში — მაზრის უფროსი და ბოქაულ-ისპრავნიკი ძველის მათრახითა და „ოკრიკით“, მაგრამ თან ერთი განსხვავებაც არის: ეხლანდელს „დემოკრატიულ მთავრობას თითქოს განგებ აურჩევია ძველ ადმინისტრატორ-მოხელეთა შორის ყველაზედ უფრო სასტიკი და ხალხის სისხლისმსმელნიო. აქ, ევროპაში, დენიკინ-კოლჩაკის აგენტები თვალისასახვევად თითო ახალს ჰანგზე მღერიან, იქ კი, რუსეთში, უკვე აღსდგა ძველი რეჟიმიო, საგულისხმოა, რომ ეს ექიმი, სალაზკინი, არც სოციალისტია და არც აქტივისტი, არამედ უბრალო სოფლის ექიმი-მოღვაწე, რომელსაც თავისი დღენი მინსკის ერობაში მუშაობით დაუბერებია. ყველგან ერთი და იგივე სურათიაო, დაუმატა მან, არხანგელსკისა თუ ბალტიის მხარეში (რეველით მოვიდა) ხალხი ყველგან ისევ ბოლშევიკების ღმერთის სამსახურს არჩევსო.

საინტერესო ერთი დამამტკიცებელი ფაქტიც რუსეთის ამ ახალ-ახალ მთავრობათა „დემოკრატობისა“, რომლითაც აპირებენ განთავისუფლებულ ერების გულისმოგებას, ეს ძალადმაცხოვნეები. ორი კვირის წინად ქ. რეველში მოხდა რუს სოციალისტების (ს. რევ. და მენშევ.) შეერთებული ყრილობა, რომელმაც ერთხმად უარჰყო ლიანოზოვის მთავრობა და ბრძოლა გამოუცხადა მას, ისე როგორც ბოლშევიკებსაც. საბრალონი! რასაკვირველია, მათს გადაწყვეტილებას არავითარი დადებითი და ხელშესახები შედეგი არ მოჰყვება, რადგან რეველისა იყოს, გინდა რიაზანისა რუსეთის დემოკრატია მუდამ ძვალრბილი და უსახსრო იყო, დღეს განსაკუთრებით ასეთია იგი, ხოლო მომავალშიაც ამგვარივე დარჩება. ერთია ხსნა რუსეთისა: იგი თავისავე წვენში უნდა მოიხრაკოს, რათა იქნებ შორეულ თაობას მაინც გამოადგეს ნიადაგის სასუქად. ამას უკვე გრძნობენ (სამწუხაროდ ძლიერ გვიან) ის პატარა ერები, რომელნიც ბოლშევიკთა წინააღმდეგ ბრძოლით რუსეთის ტერიტორიაზე, საკუთარის ხელით ილესავდნენ თავისსავე დასაკლავ დანას. ესტონიისა და ლატვიის მთავრობებმა უკვე დაიწყეს მოსკოვთან საზავო მოლაპარაკება; მალე, როგორც აქაური პრესა ამტკიცებს, მათს მაგალითს მიჰყვებიან ლიტვა, პოლონეთი და ფინლანდია; როცა ამ წერილს მიიღებთ, შესაძლებელია, მათ შორის ზავი უკვე ჩამოვარდნილი იქნეს...

რა მდგომარეობაშია ჩვენი ქვეყნის საკითხი? გაზეთების ცნობით, რასაკვირველია, საიმედოს და სახეიროს არაფერს უნდა ველოდოთ, მაგრამ თქვენ ხომ გაზეთებს და მათს მშრალ ცნობებზე მეტი გეცოდინებათ, ვინძლო შემატყობინოთ რამე.

**მარად თქვენი ღრმად პატივცემული არისტო ჭუმბაძე, საქართველოს წარმომადგენელი სკანდინავიაში**

# საქართველოს დღესასწაული და ქართველი ისრაელები

**იშვიათ** მოვლენას დღესასწაულობს ჩვენი საქართველო, მრავალი სიხარული და მრავალი მწუხარება გამოუცდია მას, მაგრამ არც ერთ ამათგანს ისეთი ღრმა დაღი არ დაურტყამს ჩვენი მომავლისათვის, როგორიც იქნება დაღი 26 მაისისა.

ყოველი ქართველი, განურჩევლად სარწმუნოებისა და ყოველი საქართველოს ღირსი მოქალაქე დღეს ორნაირ ზეიმს იხდის. ერთი არის მკვდრეთით აღდგენა საქართველოს სახელმწიფოებრივობისა და მეორე არის ამ სახელმწიფოებრივობის დემოკრატიული არსებობა.

ჩვენ ვიცით, რომ საქართველოსა და ქართველ ერს ურიცხვ მტერთა ურდოები ეხვიენ და ახვევიან თავს.

1783 წლამდე შემუშავებული ტრადიცია უფრო ჩაიკრა და გაართმავა ამ ერთი წლის დამოუკიდებელმა მყოფელობამ. 26 მაისიდან იწყო საქართველოს ეროვნულ ძალთა დაგროვება და ამ ერთი წლის თავზე ჩვენ თამამად შეგვიძლია ვსთქვათ, რომ ქართველი ერის მთლიანობა მართლის და ჭეშმარიტის გზით მიმდინარეობს.

ერთი ქართული სული შექმნილია: მართლმადიდებელი, კათოლიკე, მუსულმანი და ისრაელი ქართველის არსება ერთ ეროვნულ სხეულშია ჩამოყალიბებული. ურთიერთისადმი მისწრაფება, გაგება იმდენად დიდია, რომ ვერავითარი გარეშე ძალა ვერ მოახერხებს ჩვენს დაშორებას.

ეს გვაძლევს მტკიცე რწმენას, რომ 1920 წლის მაისის 26-ს იდღესასწაულებს არა მარტო დღევანდელი, შეკოწიწებული საქართველო, არამედ მთელი საქართველოც — თავისი აჭარა-ლაზისტანითურთ.

ასეთის რწმენით ვეგებებით ჩვენ დიდებულ მაისის 26-ს და როგორც ყოველი ჭეშმარიტი ქართველი გაიძახის: გაუმარჯოს საქართველოს და მის მთლიან ორგანიზმს!

გაუმარჯოს ქართულ ეროვნულ იდეასა და მის მატარებელ ქართველ ერს!

გაუმარჯოს საქართველოს განკურნების დღეს — ძვირფას 26 მაისს!

**ი. ხანანიშვილი,**
**„საქართველო“, 1919 წ. 26 მაისი.**




ქართული მარკა

# ქართველი ბავშვები და 26 მაისი

**თფილისის** დაბალი და საშუალო სასწავლებლების მოწაფეებმა 26 მაისი გაფიცვით აღნიშნეს.

ეს ფაქტი მით არის აღსანიშნავი, რომ პარტიებს და დამოუკიდებლობის კომიტეტს არ მოუწოდებია ხალხი გაფიცვებისა და დემონსტრაციების გასამართავათ, ამიტომ ეს გამოსვლა სავსებით მოსწავლე ახალგაზრდობის ინიციატივას ეკუთვნის. გარეშე დიდების მოწოდებისა მათ თავისი ნებით, სტიქიურათ გამოხატეს თავისი დამოკიდებულება 26 მაისისადმი. და ეს გარემოება ყველაზე უფრო მჭერმეტყველურათ მოწმობს იმას, თუ რამდენათ ღრმა და ძლიერია ქართველი ხალხის მისწრაფება თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისადმი. ამ შემთხვევაში ახალგაზრდობამ თავისი ჩვეულებრივი პირდაპირობითა და გულწრფელობით გამოსთქვეს ის, რაც ყველას აწუხებს. ბევრ ადგილას მოწაფეები დილიდანვე არ მისულან სასწავლებლებში, ხოლო სადაც მივიდნენ, პირველ გაკვეთილებზევე მიატოვეს და ხმაურობით სახლებისკენ გასწიეს. ზოგიერთ ადგილას ნაციონალური დროშები ამართეს და ინციდენტებსაც ჰქონდათ ადგილი. ჩეკისტები დაერიენ ბავშვებს რევოლვერებით და დაჰერითა და ცემით ემუქრებოდნენ, იყო ისეთი შემთხვევებიც, რომ მოწაფეებს კარები გამოუკეტეს და ძალით შერეკეს სკოლაში, მარა სწავლა მაინც არ ყოფილა. ბევრს გულზე შავი ლენტები ჰქონდათ გაკეთებული ნიშნათ გლოვისა. ჩვენ არ შეგვიძლია არ დავგმოთ ზოგიერთი ჩინოვნიკი მასწავლებლის უმგვანო საქციელი. ეს ვაჟბატონები ტყავიდან ძვრებოდნენ, ჩეკისტები ესხამოვნებინათ და მოწაფეებს ფეხდაფეხ დასდევდნენ და კლასში ძალით მიათრევდნენ. ამ ლაჩრებმა იმდენი რიგიანობა მაინც ვერ გამოიჩინეს, რომ თავისთვის გაჩერებულიყვნენ.

მოსწავლეების ეს გამოსვლა ცხადად ყოფს, თუ რამდენად უნიადაგოა ოკუპანტების ცდა დაუკავშირონ ახალგაზრდობა თავის ბნელ მოღვაწეობას. ამას წინეთ, კომუნისტთა ყრილობაზე ორჯონიკიძე მედიდურათ გაიძახოდა: მალე საქართველოს ახალგაზრდობის მთელი 100 პროცენტი უნდა დავიპყროთო! 26 მაისის გამოსვლა მოსკოვის აგენტის ამ ტრაბახობის საუკეთესო პასუხია. ახალგაზრდობის 99 პროცენტი ზიზღით უცქერის დამპყრობელებს და თავისი ახალგაზრდული გატაცებით ებრძვის მათ. კომუნისტურ ჯალათებს გვერდში უდგიან მხოლოდ რუსისა და სომხის რეაქციონერ-ნაციონალისტების შვილები და თითოოროლა გარეწარი. მათი სიმაგრე სოლოლაკია დღეს. ქართველი გლეხისა და მუშის შვილები კი დაუძინებელი მტრები არიან ჩვენი ხალხის ჯალათებისა. თავისი ყოფაქცევით და უშვალო ენტუზიაზმით ისინი ქვეყანას ეუბნებიან: თუ დიდები დაიღლებიან, თუ მათ ძალა ან სასოება მოაკლდებათ აქა ვართ ჩვენ, მომავალი თაობა თავისუფლების დროშით ხელში ბრძოლის წყურვილით გატაცებულიო! ვაშა ამათ! სახელი და გამარჯვება ქართველი ერის ამომავალ ძალას მის ახალგაზრდობას!

**„ჩვენი ერთობა“**
**1928 წ. ივნისი, № 6.**



ბერლინიდან:

# დიდათ პატივცემულო კარლო!

● 1920 წლის 8 იანვარი

[illegible]

ავადმყოფობის გამო, ვერ მოვიდა. თუმცა, მოსვლა გულით უნდოდა. სამაგიეროთ მოვიდა მისი ცოლი და შვილი. ვერ მოვიდა ცოლის ავადმყოფობის გამო ჰერმან მიულერიც. დანარჩენები ყველა მოვიდნენ. ვახშამს მეტად მეგობრული ხასიათი მიეცა და დიდი ნასიამოვნები დარჩნენ. მთელი ეს სიამოვნება ოთხი ათასი მარკა მეტი დაჯდა. ვახშამზე ედუარდ მერტეინმა სიტყვა წარმოსთქვა. მან მოკლეთ სთქვა: მე მუდამ მომხრე ვიყავი წვრილი ერების, მათი დამოუკიდებლობის. საქართველომ დაამტკიცა, რომ მას შეუძლიან თავისუფლად, დამოუკიდებლად არსებობა და იმედი მაქვს, იგი მალე თავისუფალ ხალხთა კავშირში, როგორც დამოუკიდებელი წევრი, შემოვაო. ვახშამმა ღამის ორ საათამდის გასტანა და ყველა დიდათ ნასიამოვნები და შეზარხოშებული სახლში წავიდნენ. ჩემის აზრით, ჩვენს წვეულებას ჰქონდა პოლიტიკური მნიშვნელობა და ეს უნაყოფოდაც არ ჩაივლის.

აკ. ჩხენკელი რომ მიდიოდა, ჩვენს განკარგულებაში გადმოიტანა ერთი მილიონი მარკა. აქედან, ნახევარ მილიონის საქონელი უნდა გვეყიდა საქართველოში გასაგზავნათ. ჩვენ საქონლის დაკვეთას დიდი ხანია შევუდექით და დიდი ნაწილი უკვე ნაყიდია. საქონლის ყიდვაზე და გაგზავნაზე ნახევარ მილიონ მარკაზე მეტი დაიხარჯება. დაგვრჩება — ვთქვათ მეორე ნახევარ მილიონი. საელჩოს მოსამსახურეების ჯამაგირები, ბინა და სხვა წვრილმანი ხარჯები თვიურად 11 ათას მარკას უდრის. საელჩოდან ეძლევათ თერთმეტ სტუდენტს თვიურად (სესხის სახით) შვიდასი მარკა. მიხაკო წერეთელს თვიურათ ეძლევა — როგორც ყოფილ ელჩს ჯამაგირი 1500 მარკა; მ. კერესელიძეს, როგორც ყოფილ სამხედრო ატაშეს 1000 მარკა, ყოფილ სავაჭრო კომისიის წევრის, მ. ყაუხჩიშვილის ცოლს სესხათ თვიურათ 1500 მარკა. გვაქვს სხვა მრავალი არა ჩვეულებრივი გასავალი, რომელიც ბოლოს ჩვეულებრივი გასავალის ხასიათს ღებულობს. ვეხმარებით — სესხის სახით — საქართველოს სხვადასხვა მოქალაქეებს, რომლებიც ომის დროს გერმანიაში დარჩენილან. სამხედრო ტყვეებმა ხომ საქმე გაგვიჭირვეს. მიუხედავათ ამისა, რომ საკუთარი გემი გავგზავნეთ და ზედ 1715 ქართველი იყო, მაინც მრავალი ტყვეები გამოგვრჩენოდა. თოთხმეტ დეკემბერს ერთი გემი კიდევ გავიდა სომხების ტყვეებით. ამ გემზე დარჩენილი ჩვენი ტყვეები რიცხვით 80 კაცამდის გავგზავნეთ, რომელთა გამგზავრება საკმარისი ფული დაგვიჯდა. ამის შემდეგ კიდევ გამოჩნდენ გერმანიაში 7 ქართველი ტყვე, ოციც ავსტრიაში და ამ მოკლე ხანში ამათაც გავისტუმრებთ. სხვა და სხვა სახელმწიფოებიდან და კუთხიდან მუდამ დღე მოგვადგებიან ხოლმე და დახმარებას გვთხოვენ. მდგომარეობა ისეთია, რომ დახმარება აუცილებელია. გარდა ამისა, ჯერაც არ გაგვისწორებია „ქრისტიანნების" ანგარიშები. ხელშეკრულობის ძალით ეს გემი ბათუმის ნავსადგურში ხუთი დღე უნდა გაჩერებულიყო ყოველ ზედ მეტ დღეში უნდა გადაგვეხადა ჯარიმა 9000 მარკა. ჩვენ მთავრობას დასახელებული გემი ათ დღეზე მეტი გაუჩერებია და ამ ზედმეტ დღეების ფული იქ არ გადაუხდიათ. ამასაც ახლა აქ გვედავებიან. რიცხვით 90 000 მარკას და იძულებული ვართ გადავიხადოთ. ერთი სიტყვით, დიდძალი ხარჯები გვაქვს და აკ. ჩხენკელმა კი ჩვენ ფული მეტის მეტ ხელმომჭირნეობით გადმოგვცა.

ბერნიდან ბ. სუმბათაშვილიდან დეპეშით ცნობა მოგვივიდა, რომ იტალიაში მოვიდნენ თოთხმეტი ქართველი სტუდენტი და შვეიცარიით უნდა შემოვიდნენ გერმანიაში სასწავლებლათო. საჭიროა გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს გერმანიაში შემოშვების ნებართვაო. ჩვენ ზომები მივიღეთ და გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ნება დართო მათ, გერმანიაში შემოსვლისათვის. ამ დღეებში გვეწვევიან ჩვენი სტუდენტები.

სავაჭრო საქმეების მოწესრიგება და აქედან მრავალი საქონლის წაღება საქართველოში შეიძლება. აქ საქონელი შედარებით სხვა ქვეყნებთან იაფია, მხოლოდ თუ საქმეები ვერ ეწყობა. ამის მიზეზი ის არის, რომ ჩვენ გარანტიების მიცემა არ შეგვიძლიან. ყოველგვარ საქონელს წაიღებენ, უკეთუ ჩვენ სამაგიეროს რაიმე ნედლ მასალას მივცემთ. მაგრამ, მე ასეთი პირობის მიცემა არ შემიძლიან, ვინაიდან, ამისათვის შესაფერი ინსტრუქციები არ მაქვს ჩვენი მთავრობიდან. საქონლის წაღება შეიძლება ან ჩვენი სახელით ან და ნეიტრალური სახელმწიფოების სახელით. დიდი მოთხოვნილებაა მარგანეცზე და თამბაქოზე და დიდ ფასებსაც იძლევიან. ზავის რატიფიკაციის შემდეგ უფრო გაუადვილდებათ აქედან საქონლისა და ყოველ გვარ მანქანების წაღება.

ბ. ექიმი ტყემალაძე ვესტფალის საავადმყოფოში წევს და სულიერათ შერყეულია. როცა კარგად შეიქმნება, გამოვიყვანთ და რომელიმე გზით გავგზავნით სამშობლოში. კოლია კანდელაკის გადმოგზავნილი ამანათი მივიღე და დანიშნულებისამებრ გადავეცით.

მომიკითხეთ ირაკლი, ჩემი კოწია, ავალიშვილი და სხვები. წერეთელს მოკითხვა კაუცკის და მისი ცოლისგან.

უღრმესი პატივისცემით

**ვლ. ახმეტელაშვილი,**
საქართველოს რესპუბლიკის წარმომადგენელი ბერლინში.





ლონდონიდან:

# საქართველოს დელეგაციის თავმჯდომარეს

● 18 იანვარი, 1920

**დღეს** დილით, საგარეო სამინისტროში მითხრეს, რომ „Conseil Suprême"-მ იცნო საქართველო და ადერბეიჯანი de pacto-თ. ცნობა ერთხმათ მომხდარა და წინააღმდეგი არავინ ყოფილა. წინადადება ინგლისელ-იტალიელების ყოფილა. ასე, რომ, ერთი წლის მუშაობის შემდეგაც, ასეთ ცნობას აქვს დიდი მნიშვნელობა. მართალია, ეს ცნობა დააჩქარა რუსეთის სამხედრო მოქმედებამ, აკი ამ ოცი წლის წინათ, ინგლისის მინისტრი ჩვენზე ლაპარაკს ექვს თვეს იქით აპირებდა. მაგრამ ყველაფერს თავის ლოღიკა აქვს. ჩვენ ეხლა ბოლშევიკების სისაშიშრე მოგველის და მათ შეუძლია ალიების ცნობას ყურადღება არ მიაქციონ და თავისი პოლიტიკა აწარმოვონ. მაგრამ, ჩვენი ხალხის გასამხნევებლად ამ ფაქტს დიდი მნიშვნელობა ექნება. ალიებს და განსაკუთრებით ინგლისს, ბოლშევიზმის ეშინია აღმოსავლეთში და ამან დააჩქარა ისინი ჩვენ ვეცანით — ამ ცნობამ ჩვენი საკითხი ერთ წერტილიდგან დაძრა, ერთი ნაბიჯი წინაა გაკეთებული. რომ ხელ-ახლათ ამ ნაბიჯზე არ შევჩერდეთ და ამ ცნობამ, რომ თვით ბოლშევიკებზე მორალურათ იმოქმედოს საჭიროა, რომ ალიებს გარდა, სხვებმაც გვიცნოს და ეხლა მაგონდება ჩვენი ბაასი გერმანიისადმი ცნობაზე. მე მგონია, ეხლა საუკეთესო მომენტია, რომ გერმანიას ვსთხოვოთ ცნობა. ეს ეხლა არ იქნება სრულიათაც ძნელი, მეტადრე, რომ ალიებმა de pacto-თ გვიცნეს. ჩემი აზრი ის არის, რომ ეხლავე იქნას მიღებული ზომები ამის შესახებ. თუ ირ. წერეთელი წავა იქ, მას აქვს იქ ნაცნობობა და სულ ადვილად მოეწყობა ეს საქმე. თუ არა და ეხლავე მისწერეთ ლადოს დაიწყოს მოქმედება.

კიდევ მეტი მნიშვნელობა ექნება სხვა ნეიტრალურ ქვეყნებისადმი ცნობას. რომ ჩვენ გერმანიამ და ზოგმა ნეიტრალურმა ქვეყნებმა, გვიცნას, ამას თვით ბოლშევიკებზედაც დიდი გავლენა ექნება. შეიძლება ბოლშევიკებმა ჩვენამდის მოაღწიოს უფრო ადრე, ვინემ კიდევ ვინმე მოასწრებდის ჩვენ ცნობას, მაგრამ, პოლიტიკას ხომ ორ-სამ დღისათვის საზოგადოთ არ ვაწარმოებთ. მგონია, რომ საჭირო იქნება შვეიცარიის და სკანდინავიის წარმომადგენლებს მიეცეს ინსტრუქციები უფრო გაბედულათ აწარმოვონ ეხლა ეს საქმე. წინ ყველა იმას გვეუბნებოდა, რომ ეს ყველა ალიების და კონფერენციის საქმეაო. ეხლა კონფერენციამ გვიცნო, მაშ, სხვებმაც მიბაძოს მას და გააკეთონ ამის შესახებ დეკლარაცია.

როგორც ზემოთ გწერთ, ჩვენ ეხლა ბოლშევიკების საფრთხე მოგველის და რამენაირათ ის უნდა ავიცილოთ თავიდგან. მაგრამ როგორ? ეს მეტათ ძნელი საქმეა. ხვალ არის კრება ზოგ პარლამენტის დეპუტატებთან, უნდა მგონი შეგვეკითხონ, თუ რით შეიძლება ჩვენი დახმარება. თუ ინგლისს ინდოეთის დაკარგვის ეშინია, ის ჩვენდა დაუკითხავად მიიღებს შესაფერ სამხედრო ზომებს, მაგრამ მარტო ჩვენთვის რომ ბოლშევიკებთან გასამკლავებელი ჯარი გაგზავნოს, ეს ხომ უტოპია იქნება ჩვენის მხრით. ეხლა როგორც სჩანს, ინგლისი ცდილობს ბოლშევიკებთან მოლაპარაკება გამართოს. ჩემი აზრით, საჭიროა სწორეთ ამ მომენტით ვისარგებლოთ და ვსთხოვოთ ინგლისელებს, რომ ამ მოლაპარაკების დროს ბოლშევიკებისაგან ჩვენი ცნობა მოითხოვონ და ჩვენ საქმეებში ბოლშევიკები არ ჩაერიონ. თუ ინგლისის მთავრობა მოხსნის რუსეთის ბლოკადას და დაიწყებს მასთან ვაჭრობას, ბოლშევიკებსაც შეუძლიათ დიდი კომპრომისები გააკეთონ აქ. და იმ დეპუტატებს, რომელთაც უნდა ჩვენი აზრის გაგება, მე ჩვენი საკითხის სხვა მხარეებზე უფრო ამ მხარეს მივაქცევ ყურადღებას. მე მინდა, აგრეთვე ენახო, აქ სხვადასხვა ქვეყნების წარმომადგენლები, მათ გადავცე პატარა მემარანდუმი ჩვენი საკითხის შესახებ და ვთხოვო, რომ იშუამდგომლონ მათ მთავრობებთან ჩვენი ცნობისათვის. პარიზი და ლონდონი ევროპის ცენტრია, აქ ყველაზე საუკეთესო წარმომადგენელნი ჰყავთ და მათთვის ჩვენი გაცნობა დიდათ საჭიროა. გთხოვთ არ მომაკლოთ თქვენი რჩევა და ინსტრუქციები.

დელეგატი

**ა. გვარჯალაძე**



ლონდონიდან:

# საქართველოს დელეგაციის თავმჯდომარეს

● 7 თებერვალი, 1920

**წინა** წერილში გწერდით, რომ არ ვიცით თუ რა შედეგი მოყვა ალიების დაპირებას სურსათის და იარაღის მოცემის შესახებ. რომ გამეგო, თუ რა სტადიაში იმყოფება ეს საკითხი, ვიყავი საგარეო სამინისტროს კანცელარიის დირექტორთან. ჩვენ არ ვიცითო, სთქვა მან, თუ რამდენი სურსათი და იარაღია თქვენთვის საჭირო, ამიტომ ბათუმიდგან თბილისში გაიგზავნა ოფიცერი, რომელმაც ეს უნდა გაიგოს და შეგვატყობინოსო. მე მას აუხსენი სურსათის და იარაღის დაუყოვნებლივ მოწოდების საჭიროება, თან უთხარი, რომ თუ მისაღებათ საჭირო იქნება ჩვენი კაცი, ჩვენ გვყავს სპეციალისტი და ორ დღეში გამოვიწვევ აქათქო (სახეში მყავდა იარაღისათვის სპეციალურად გამოგზავნილი პოლკოვნიკი გედევანიშვილი). როცა მივიღებთ ცნობებს საქართველოდგან შეგატყობინებ მაშინვეო. მაგრამ ეს ხომ მაინც საქმის დაგვიანება და გაჭიანურებაა და ჩვენ სადა გვაქვს ამდენი დრო, რომ ამდენი გვაცდევინონ, როცა საშიშროება კარზე გვადგია. აგრეთვე აღვძარი საკითხი დონაყის შესახებ. თქვენ იტალიელებთან პირობა შეგიკრავთ და პურის შოვნა შეიძლება, დონაყის უქონლობით საქმე ბრკოლდება. მითხრეს რომ უნდა ვიცოდეთ დონაყის რაოდენობა და შეიძლება დახმარებაო. ამავე დროს, ხოშტარიას თუმცა თავისი კერძო საქმეები ბევრი აქვს აქ, მაგრამ რადგანაც კი ჩვენთან საქმე აქვს პურის შესახებ, ყოველ დღე ვითხოვდი, რომ გემი ეშოვნა და პური გაეგზავნა რომ მან ეხლა პური გაგზავნოს და თავის დროზე მოახერხოს ეს, ამით დიდი მადლიერი ვიქნებოდით. ისიც დიდათ ცდილობდა — უნდა ითქვას სიმართლე. გუშინ წინ მომიტანა დეპეშა (პასუხი მის რამოდენიმე დეპეშებზე იტალიაში) რომ პურის პირველი პარტიის საქმე მოეწყოო. ეს დეპეშა თქვენ გადმოგეგზავნათ ცნობისათვის. არ მოვეშვები სანამ არ დავრწმუნდები რომ პური გემზე იტვირთება და მიდის ჩვენში.—ბოლგარიაში პურის შოვნის საქმეც გრძელდება და თუ ეს მოხერხდა ეს დიდათ სასარგებლო ფასებში იქნება ნაყიდი. პური თუ არ იქნა გაგზავნილი ჩვენში ჩვენ დამოუკიდებლობას ადვილათ წაიღებენ ბოლშევიკები.

— დღეს სხვათაშორის ბევრ აქაურ გაზეთებში იყო მოთავსებული მოსკოვიდგან ბოლშევიკების ცნობა, რომ თბილისი და ქუთაისი ბოლშევიკების ხელშიაო. სამინისტროში გავიგე, რომ ქუთაისში ყოფილა ბოლშევიკების გამოსვლა, რომელიც ჩაუქრიათ (ეს ალბათ უპურობის შედეგია) ამ ცნობას იძლევა ბათუმის გუბერნატორი. ვორდიოპის ცნობა ამის შესახებ ჯერ არ არის.

— საგარეო სამინისტროში აღვძარი აგრეთვე შუამდგომლობა ჩვენი ახალგაზრდა სტუდენტების შესახებ. უნდა მივაწოდო მათ ყველა ცნობები და ისინი მათ განათლების სამინისტროში გაგზავნიან შესაფერის რეზოლუციით.

— ვთხოვე აგრეთვე შიფრის უფლება. მოგვწერეთ ამის შესახებ და მიიღებთ ნებასაო — ყოვლათ შეუძლებელია, რომ ჩვენ დეპეშებს ლონდონიდგან და პარიზიდგან დაწყებული და ჩვენი უბრალო მოხელეებით გათავებული ყველა კითხულობდეს. თქვენ გაქვთ მგონი შიფრი და ვისარგებლოთ მითი ხშირათ.

— თქვენი და ადერბეიჯანის განცხადება ზოგ ყალბი ხმების წინააღმდეგ მოვათავსებიეთ აქ თითქმის ათ გაზეთში, მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანია, რომ ის მოთავსებული იყო ასკვიტის გაზეთში „Westminster Gazette", განჩერტერ გარდიენში და დეილი ღეროლდში. ამ განცხადებამ კარგი შთაბეჭდილება მოახდინა.

— მე არა ვარ იმის თანახმა, რომ ფულის, თუმცა არა ბევრის, დახურდავება შეგიჩერებიათ. ფრანკი სულ უკან მიდის და თუგინდ, რომ ერთისთვის საკმარისი იყოს და მეტი არა, აქაც საქმეს მოვიგებდით. ამასთან თოფჩიბაშევი ჩვენ ფულს დაგვიბრუნებს მაშინ ალბათ, როცა ფრანკის ფასი კიდევ უარესი იქნება. აქაც ბევრს წავაგებთ და ისედაც ჩვენი მცირე ბიუჯეტი კიდევ უფრო შეგვიმცირდება.

— აქაურ სტუდენტების ფულს იქ ნუ აჩერებთ, თორემ რამდენათ ფრანკი ფუჭდება, ესენი სულ უკმაყოფილო არიან, რომ ფული აღარ გვეყოფაო. ცხოვრება აქ მართლაც რომ ძვირია. თუმცა ვეცადეთ ამათი აქ იაფათ მოწყობა, მაგრამ ზოგი ამბობს, რომ მასწავლებლის მისაცემათ ფული არ გვყოფნის. — გვინდა, რომ ენის სასწავლათ ჯგუფებად იმეცადინონ. თუმცა ეს მაინდამაინც კარგი მეთოდი არ არის ენის შესასწავლათ. მთხოვენ, რომ თქვენ მოგწერო აქ ცხოვრების სიძვირეზე და იმ ხუთი ათასი ფრანკისაგან, რომელიც იქ დარჩენილა ზედმეტათ, მაგათ ერგოთ სხვებზე მეტი, რადგან აქ უფრო ძვირია ცხოვრებაო. კიდევ გთხოვთ, მაგათ ფულს იქ ნუ გააჩერებთ, გადაუხურდავეთ, თორემ ბოლოს უკმაყოფილო იქნებიან.

დელეგატი

**ა. გვარჯალაძე,**
7-I-20.

რომიდან:

# ძვირფასო კარლო!

● 30 იანვარი, 1920

**ჩვენი** მისიის წევრი — ნ. ჯაყელი მიემგზავრება პარიზში და ლონდონში, თვისი პირადი საქმეების გამო, რომელიც მოგახსენებთ ჩვენი აქაური მოქმედების შესახებ. ოთხი დღის წინ, დეპეშა გამოგიგზავნეთ, გთხოვეთ ინფორმაცია მოგეწვდინათ, თქვენი მადაური მოლაპარაკების შესახებ. უკანასკნელი აუცილებელია ჩვენთვის. იტალიის მთავრობასთან ვაწარმოებთ მოლაპარაკებას ზოგიერთი პრაქტიკული საკითხების შესახებ. ამიტომ, საჭიროა ვიცოდეთ, თქვენი მადაური მოლაპარაკება, რათა ისინი შეუფარდოთ ჩვენსას აქ. მაგალითად, იტალიის მთავრობა 5 თებერვალს აგზავნის საქართველოში ჩვენი მთავრობისათვის ფქვილს, თოფის პატრონებს და სხვა საქონელს (გთხოვთ, ამას ჯერჯერობით ნუ გაახმაურებთ). ვაწარმოებთ მოლაპარაკებას და იმედი გვაქვს, რომ იტალიის მთავრობის საშუალებით, შევძლებთ მივიღოთ 20 000 ტონამდე ფქვილისა, მაგრამ თუ ინგლისი თანახმაა სამხედრო მასალა მოგვცეს, შეიძლება მაშინ იტალიის დახმარებაზე უარი ვსთქვათ. ამიტომ, გთხოვთ, რეგულიარულათ მოგვაწოდოთ ინფორმაცია თქვენი მოქმედების შესახებ. ამ ათ დღეში შეიძლება მეც გამოვემგზავრო პარიზში: საჭიროა ხსვადასხვა საკითხებზე მოლაპარაკება თქვენთან. — ჩვენი მისია, როგორც ასეთი, საქართველოში დაბრუნდება. ვოიტინსკები თქვენსკენ წამოვლენ. აქ საჭირო იქნება წარმომადგენლის დანიშვნა ერთი ეკონომიური მრჩეველით. იტალიის მთავრობა უკვე ლაპარაკობს წარმომადგენლობის დანიშვნის შესახებ. ამის შესახებ საჭირო იქნება ჩვენი და მთავრობების შეთანხმება და ნოტების გაცვლა. მე პირადათ, პარიზში ამოვალ და შემდეგ საქართველოში გავემგზავრები — ამის შესახებ უკვე მივწერე ჩვენს მთავრობას. მოველი თქვენსგან ინფორმაციას. სალამი ყველას.

თქვენი

**კოწია საგახტარიშვილი**

# ჩხეიძის და ოდიშელიძის მუსაიფი გრენართან

**8 ივნისს**, 1920 წელს ნ. ს. ჩხეიძემ და ი. ზ. ოდიშელიძემ ინახულეს Mr Gre'nard და ჰქონდათ მასთან ხანგრძლივი საუბარი შემდეგი შინაარსისა:

**ნ. ს. ჩხეიძე.** ჩვენ გადმოგვცეს, რომ თქვენ განგიცხადებიათ სურვილი გენახეთ ჩვენ, რათა გამოგერკვიათ ზოგიერთი საკითხები.

Mr Gre'nard. უკანასკნელ დროს ამიერ-კავკასიასთან ფოსტა-ტელეგრაფის მიმოსვლა ხანგრძლივათ იყო შეწყვეტილი და გარეშე საქმეთა სამინისტრო საშუალებას იყო მოკლებული, იქაურ ამბების გამო, ინფორმაცია მიეღო თავის წარმომადგენლის გრაფ დე-მარტელისაგან. ამიტომ, მე თქვენი დიდი მადლობელი ვიქნები, თუ ნებას დამრთავთ, მოგცეთ რამოდენიმე კითხვა. პირველი საკითხი ეს — თქვენი დამოკიდებულება თქვენს მეზობლებთან და კერძოთ, სომხებთან. ჩვენ ძლიერ კარგად ვიცით ჩვენ მიერ მიღებული ინფორმაციებიდან, რომ საქართველოს მთავრობა ყოველთვის, ყველა კონფლიქტების მშვიდობიანი გზით გადაწყვეტის მიდრეკილებას იჩენდა და ეროვნულ ვნებათა შერიგებას ცდილობდა. სასურველი იქნებოდა, რომ ასეთი განწყობილება შემდეგშიაც გაგრძელდებოდეს. ჩვენ არ უნდა გაგვიგოთ ისე, რომ მხარს უჭერდეთ სომხებს იმის და მიუხედავათ, თუ როგორი იქნება მათი ყოფა-ქცევა; ჩვენ გვინდა მხოლოდ, რომ ამიერკავკასიაში მშვიდობა მეფობდეს და იქ ისეთი პირობები შეიქმნან, რომელთა შემწეობით, შესაძლებელი გახდეს ხალხთა მშვიდობიანი ცხოვრება. ამასთან, არ მინდა დავმალო თქვენგან, რომ ჩვენთვის სავსებით ცხადია ამ საქმეში მთავარი ვალდებულება თქვენზე უნდა იქნეს დაკისრებული, რადგან, საქართველოს მთავრობამ ამ ხნის განმავლობაში გამოიჩინა ყველაზე მეტი ნიჭი სახელმწიფოებრივი აღმშენებლობისა და გონივრული პოლიტიკისა. მეორე საკითხი შეეხება ბათომს. ბათომზე და მის ოლქზე ქართველი ხალხის უფლებები უეჭველოდ უნდა ჩაითვალოს, მე ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ამ რაიონზე სუვერენიტეტი ქართველ ხალხს გადაეცემა. მაგრამ, მასთან ერთად, არ შეიძლება დავივიწყოთ, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ბათომის პორტს, როგორც თქვენი მეზობლებისთვის, ისე დასავლეთ ევროპის სახელმწიფოების ამიერ კავკასიასა და სპარსეთთან დამოკიდებულებისათვის. ამიტომ, იქ სავსებით უზრუნველყოფილ უნდა იქმნან ეკონომიური ინტერესები, როგორც თქვენი მეზობლებისა, ისე მოკავშირეებისაც. ამ საგანზე თქვენი, როგორც საქართველოს მთავრობის წარმომადგენლების აზრის მოსმენა, საინტერესოა.. მესამე საკითხი ეს — ბოლშევიკების საკითხია. სანამდის აღწევს ბოლშევიკებთან სამშვიდობო შეთანხმება და ამ ზავს საქართველოს მთავრობა სცნობს თუ არა მტკიდრათ. მასთან, მე შემიძლია განვაცხადო, რომ ის პირობები, რომლებიც ხელმოწერილია, სავსებით გასაგებია ჩვენთვის, ვინაიდან, შეუძლებელია ვიფიქროთ, რომ პატარა საქართველომ შეძლოს ეწინააღმდეგოს უზარმაზარ რუსეთს და ჩვენი მთავრობა თავის თავს არასდროს არაძლევდა ნებას, საქართველო ჩაეთრია ასეთ მძიმე ბრძოლაში და ის წაექეზებინა რუსეთის წინააღმდეგ. მასთან, მე გთხოვდით თქვენ პირადათ უპასუხოთ იმასაც — გაქვთ თუ არა თქვენ რაიმე ცნობა იმის შესახებ, რომ ადერბეიჯანში შემდგარია მეორე მთავრობა, რომელიც ბაქოსას არ სცნობს და ამ რიგათ, ბაქოს მთავრობის უფლება მთელ ადერბეიჯანზე არ ვრცელდება.

**ნ. ს. ჩხეიძე.** მე თქვენი ძლიერ მადლობელი ვარ, რომ თქვენ გვაძლევთ საშუალებას, აქ აღძრულ საკითხების გამო, ჩვენი შეხედულება კიდევ ერთხელ გამოვსთქვათ. მე ვამბობ კიდევ ერთხელ, რადგან ყველა ამ საკითხების გამო, ჩვენ უკვე მრავალჯერ შეგვიტანია ნოტები, დეკლარაციები, როგორც Conseil Suprêm-ში, ისე ყველა იმ დაწესებულებებში, რომელნიც მათი რამოდენათმე დაინტერესებულნი იყვნენ.

თქვენ მიერ დასმული პირველ კითხვაზე, ერთხელ კიდევ შემიძლია განვიმეორო, რომ საქართველოს მთავრობის და ქართველი დემოკრატიის მთელი პოლიტიკა დასაწყისიდან უკანასკნელ დღემდის, მიმართული იყო მოქიშპე ეროვნებათა შერიგებისაკენ და ყველა სადავო საკითხების მხოლოდ მშვიდობიანი გადაწყვეტისაკენ. ჰკითხეთ სომხებს და ისინი ვერ დაგიმალავენ თქვენ ჩვენს წინადადებებს სავალდებულო არბიტრაჟის შესახებ, იმ შემთხვევაში, თუ ზოგიერთ საკითხზე დავის მშვიდობიანი გადაწყვეტა შეუძლებელი იქნებოდა. საქართველოს მთავრობის პოლიტიკა ასეთი იყო, მომავალშიც იგი ასეთივე იქნება. არ დავმალავ, თქვენგან აგრეთვე ერთ გარემოებას, რომელიც ჩვენ საშუალებას გვისპობს სომხეთთან მჭიდრო კავშირი ვირწმუნოთ. მთელი ამ დროს განმავლობაში, მის საგარეო პოლიტიკაში, ჩვენ ვხედავდით მერყევ ქანაობას, ჩვენ სრულებით დარწმუნებული არ ვართ, რომ ისინი ეხლაც, ჩვენს თავს გადაღმა, ბოლშევიკებთან არ შეკრავენ კავშირს, ისე როგორც, იგი თავის დროზე დენიკინთან შეკრეს. რასაკვირველია, ვიდრე პოლიტიკურ ჰორიზონტზე ოსმალეთ-ბოლშევიკების ბლოკის მრისხანე აჩრდილი სდგას, სომხები იმოქმედებენ ჩვენთან ერთად, თავიანთი შეურიგებელ მტრის მუსულმანების შიშით; მაგრამ ბოლშევიკების და მუსულმანთა შემაკავშირებელ საგარეო პირობათა შეცვლის დროს რა იქნება, ეს ჩვენთვის უცნობია. ამ ჟამათ, ჩვენთვის ძნელია სომხებთან ერთის გზით სიარული, თუმცა, ჩვენ ყოველ ჟამს ამისკენ მოუწოდებთ მათ. ჩვენი პოლიტიკა, ჩვენი გზა ეს — ჩვენი დამოუკიდებლობის და დასავლეთ ევროპის კულტურულ სახელმწიფოებთან მჭიდრო ურთიერთობის ორიენტაციაა. რაც შეეხება სომხებს, სამწუხაროთ, მე შემიძლია ვსთქვა, მათ ეს ორიენტაცია საკუთარი დამოუკიდებლობისა, არა აქვთ და ვიდრე ეს არ იქნება, სომხეთთან კავშირის მტკიცე იმედი შეუძლებელია ჩვენ გვქონდეს.

რაც შეეხება მეორე საკითხს, ბათომისას, ამ საკითხზედაც ჩვენ უკვე მრავალჯერ გამოგვითქვამს ცხადი და გარკვეული ჩვენი შეხედულება. ბათომი საქართველოს რესპუბლიკის შემადგენლობაში უნდა შევიდეს. ამისათვის, ყველა მატერიალური და ისტორიული უფლებები საქართველოს აქვს; მაგრამ მასთან, ვაძლევთ რა ჩვენს თავს სავსებით ცხად ანგარიშს, ჩვენი მეზობლებისა და მოკავშირეთათვის ბათომის დიდ მნიშვნელობის შესახებ, ჩვენ სულით და გულით მზად ვართ, მათი ეკონომიური ინტერესების უზრუნველმყოფი გარანტიები მივცეთ. მაგრამ ის გარემოება, რომელიც შექმნილია დღეს ბათომში ყოვლად შეუძლებელია. იმის გამო, რომ იქ ინგლისელები არიან, რომ ჩვენს ადმინისტრაციას წესიერების დასამყარებლად იქ მისვლა არ შეუძლია, მხარე ანარქიით არის მოცული, საქართველოდან გამოქცეული ყველა ბოროტი ელემენტი იქ იმალება, იქ აშკარათ მუშაობენ ბოლშევიკები და აგრეთვე სათათრეთის ემისარები. ამ რიგათ ინგლისელთა დაუდევრობით, ჩვენს ზურგს უკან შეიქმნა საფრთხე, რომელიც შეიძლება ყოველ წუთს ჩვენთვის სასიკვდილო გახდეს. ინგლისელების პოლიტიკა იქ — ჩვენთვის გაუგებარია. ხან ისინი მიდიან, ხან რჩებიან, ხან ნებას გვრთავენ ოლქში მყოფ ჩვენს ჯარს ბათომიდან სურსათი მივაწოდოთ, ხან ამას ეწინააღმდეგებიან, რითაც მათ აუტანელ მდგომარეობაში აყენებენ. საჭიროა, ჩქარა დაესრულოს საზღვარი საქმის ასეთ მდგომარეობას და ქალაქში დაშვებულ იქმნას ქართული მმართველობა, რომელსაც, და მხოლოდ ერთადერთ მას, შესწევს უნარი იქ აღადგინოს წესიერება, ერთნაირათ საქართველოსი და მოკავშირეთა ინტერესებისთვის.

ბოლშევიკებთან ზავისადმი ჩვენი დამოკიდებულების შესახებ მე უნდა ვსთქვათ, რომ არ უყურებ ამ ზავს, როგორც მტკიცე რამეს. ეს ზავი ბოლშევიკებმა უფრო დროებით შეკრეს იმ მიზეზის გამო, რომ დასავლეთის ფრონტზე პოლონელები სერიოზულად ემუქრებიან მათ—და აი, ამიტომ, იმათ იჩქარეს ჩვენთან ზავის შეკვრა, რომ ამ მხრიდან, დროებით თავი უზრუნველეყოთ. თუ რა მოხდება, როცა მათ ხელები გაუნთავისუფლდებათ — ეს ძნელი მისახვედრია. ყოველ შემთხვევაში, ხელთა გვაქვს ის მაგალითი, რომ როცა მოსკოველი ბოლშევიკები ჩვენთან ზავს ხელს აწერდნენ, ადერბეიჯანის მხრიდან ბოლშევიკებს ჩვენზე იერიშები მოჰქონდათ. აი, ეს ჩვენ ვალდებულად გვხდის ყოველ შემთხვევისათვის მზათ ვიყოთ, იძულებულს გვხდის ვთხოვოთ დააჩქარონ ჩვენთვის საჭირო იარაღის მოცემის საკითხი. უკვე დიდი ხანია, რაც ეს საკითხი ჩვენ აღვძარით და აქანამდე პასუხი არ გვაქვს. მე შემიძლია თამამად ვსთქვა, რომ ამ გარემოებამ ბოლშევიკებთან ზავის შეკვრა დააჩქარა. ამიტომ, ჩვენთვის ამ ჟამად საარსებო მიზანია — რაც შეიძლება დაჩქარებით იარაღი მივიღოთ, აგრეთვე უზრუნველვყოთ ჩვენი ზურგი ბათომის დაკავებით და იქ წესიერების დამყარებით.

Mr Gre'nard აცხადებს, რომ იარაღის მიცემის საკითხი შესაძლებელია დადებითად გადაწყდეს უმახლობელეს დროში. სამი დღის წინ, ეს საკითხი კინაღამ გადაწყვეტილ იქმნა, მაგრამ უკანასკნელ მოვლენებთან დაკავშირებულ ზოგიერთ გარემოებებმა ამას ხელი შეუშალეს. ეხლა, ნ. ს. ჩხეიძის დღევანდელ განმარტებების შემდეგ, ის ფიქრობს, რომ ყველა დაბრკოლებანი აცილებულია და დადებითი პასუხი არ დაიგვიანებს. რაც შეეხება ბათომის საკითხს, ის ფიქრობს, რომ ეს საკითხიც ახლო მომავალში საქართველოსთვის სასარგებლოთ იქმნება გადაწყვეტილი — და თავის მხრივაც მიიღებს ყოველგვარ ზომებს ამ საკითხის გადაწყვეტის დასაჩქარებლად. შემდეგ მან სთქვა, რომ მან იცის ის მოლაპარაკება, რომელიც საქართველოსა და სომხეთის დელეგაციათა შორის სან-რემოში სწარმოებდა და რომ, სამწუხაროთ, ისინი შეწყვეტილ იქმნენ. ის თხოვს საქართველოს დელეგაციას, რაც შეიძლება დათმოს და თავის მხრივ ამასვე სთხოვს სომხეთის დელეგაციასაც. იგი თხოვს აგრეთვე, (საქართველოს დელეგაციას). შეეცადნონ ინგლისელები არ იქმნენ გაღიზიანებული ისეთი ინციდენტებით, რომელთაც ადგილი ჰქონდათ ამ უკანასკნელ დროს ბათომში, რადგან, ამის შემწეობით შეიძლება საკითხის გადაწყვეტა დაჩქარდეს.

**ნ. ს. ჩხეიძემ** ამ საკითხზე განმარტებანი მისცა და სთქვა, რომ საქართველოს დელეგაცია ყველა შესაძლო დათმობებს თანხმდებოდა, ბათომ-ყარსის რკინის გზის გაყვანასაც კი შესაძლოთ სცნობდა, იმ შემთხვევაში, თუ სომხებს შავზღვაზე სხვა გამოსავალს არ მისცემდნენ. ყველაზე უკეთ ამ გარემოებებს დაადასტურებს სან-რემოს მოლაპარაკებათა ის გადმოცემა, რომელიც ყველა დელეგაციების მიერ Conseil Suprêm-ს გადაეცა სან-რემოში და რომელსაც, ის გამოუგზავნის ბატონ Gre'nard-ს გასაცნობათ. ეს დოკუმენტები თავის თავს თვით ცხადჰყოფენ და თქვენ დაინახავთ, თუ რამდენად ვიდექით ჩვენ დათმობის გზაზე.

DÉLÉGATION DE LA RÉPUBLIQUE GÉORGIENNE
PARIS

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საგარეო საქმეთა მინისტრს ე. პ. გეგეჭკორს

**საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა**

საგარეო საქმეთა მინისტრი

**12 თებერვალი, 1921 წ.**

**№ 1107**

ქ. თბილისი

1. 30 იანვარს მივიღეთ კონსტანტინოპოლიდგან ჩვენი კონსულ გოგოლაშვილისაგან დეპეშა, რომლითაც ის გვატყობინებდა, რომ საგარეო საქმეთა მინისტრმა ე. პ. გეგეჭკორმა აცნობა მას, რომ 27 იანვარს მოკავშირეთა კონფერენციიმ საქართველოს რესპუბლიკა de iure-თ იცნო. ეს ცნობა ოფიციალურად თავისი მთავრობის დავალებით დაგვიდასტურა აგრეთვე აქაურმა იტალიის წარმომადგენელმა. ხოლო საფრანგეთის და ინგლისის წარმომადგენლებს კი ჯერ კიდევ ამის შესახებ არავითარი ოფიციალური ცნობა თავიანთ მთავრობიდან არ მოსვლიათ. ეს გარემოება ცოტათი გვაკვირვებს. იტალიის მთავრობამ საქართველოს იურიდიულად ცნობის გამო თავისი პოლიტიკური აგენტი ბ-ნი ჩერუტი დანიშნა სრულუფლებიან მინისტრად საქართველოში.

თუ რა სიხარულით შეხვდა ხალხი საქართველოს იურიდიულად ცნობას — ამას თქვენ დაინახავთ გაზეთებიდან, რომელიც ამასთანავე გეგზავნებათ.

2. ფრიად საყურადღებოა ამჟამად ჩვენი ურთიერთობა მეზობელ საბჭოთა რესპუბლიკებთან, როგორც ჩვენი მიმოწერისაგან დაინახავდით, სომხეთმა იქ საბჭოთა მთავრობის გამოცხადებისთანავე მოგვთხოვა ბორჩალოს მაზრიდან ჩვენი ჯარების გამოყვანა. ჩვენ ამაზედ პირდაპირ უარი არ გვითქვამს და წინადადება მივეცით ამის თაობაზედ მოლაპარაკება გაგვემართა. სომხეთის მთავრობა დაგვეთანხმა და მოველოდით მის წარმომადგენლებს მომავალ ქართულ-სომხურ კონფერენციაზედ. ჩვენ იმედი გვქონდა, რომ ბორჩალოს მაზრის საკითხს მშვიდობიანად მოვაგვარებდით, მაგრამ 11 თებერვალს **ღამე სომხეთში მყოფი სამხედრო ნაწილები ბორჩალოს მაზრაში მეტობლით ხოფ. შაგადისთან და სანისთან რამდენიმე ალაგას მოულოდნელად თავს დაესხნენ ჩვენს სასაზღვრო რაზმებს.** ამასთან ერთად, ხსენებულ მაზრის სომეხ და რუს სოფლებში მოხდა ჩვენ წინააღმდეგ აჯანყება. ჩვენი ცნობით, ადგილობრივი თათრები ჩვენ მხარს გვიჭერენ. მთავრობამ მიიღო ყველა საჭირო ზომები, ჯარში მდგომარეობა მჭიდროა და სავსებით საიმედოა. ჯერ-ჯერობით ამ იერიშის მიზანი ჩვენთვის ნათლად არ არის გამორკვეული. შეიძლება ვიფიქროთ, რომ სომხებს სრული იმედი ჰქონდათ ბორჩალოს მაზრაში მძლავრი აჯანყება მოეწყოთ, ვაიძულებინეთ დაგვეტოვებინა ის და ამგვარად დავეყენებინეთ შესრულებული ფაქტის წინაშე, მითუმეტეს, რომ ძველ სომხეთის მთავრობასთან ხელშეკრულების ძალით ჩვენი ჯარების ბორჩალოს მაზრაში ყოფნის ვადა გადის ხვალ, 13 თებერვალს. როგორც ჯარში, ისე საზოგადოთ ჩვენი მდგომარეობა საკმაოდ მტკიცეა. დღეს-დღეობით ძნელია იმის თქმა, თუ რა მსვლელობას მიიღებს სომხეთის გამოლაშქრება, რა პოზიციას დაიჭერს ოფიციალური რუსეთი, აზერბაიჯანი, **რაიცა შეეხება ანგორის მთავრობას, უკანასკნელთან ჩვენი დამოკიდებულება ჯერჯერობით არ გვაძლევს საბუთს ვიფიქროთ, რომ ანგორა ჩვენ წინააღმდეგ გამოილაშქრებს,** ყოველ შემთხვევაში, ეს გართულება ბორჩალოს მაზრაში ერთობ სერიოზულ მოვლენად უნდა ჩაითვალოს. მას შეუძლია, დიდ საქმედ გაიზარდოს. ჩვენი მიზანია, ამ საქმის ლოკალიზაცია და თანაც, რაც შეიძლება ჩქარი ლიკვიდაცია მოვახდინოთ. შევეცდებით, დეპეშით გაცნობოთ საქმის მსვლელობა. ეხლა კი საჩქაროდ გწერთ, რადგან, ამ ფოსტის წამომღები უეცრად მიდის.

3. ჩვენი წარმომადგენელი აზერბეიჯანში ბ-ნი გ. ხუნდაძე ეხლა აქ არის. ბრიგადების და სამარშუტო მატარებლების საკითხი კვლავ გადაუჭრელია. **როგორც გწერდით საბჭოთა რესპუბლიკებში და განსაკუთრებით აზერბეიჯანში ადგილი ჰქონდა აჯანყებებს ბოლშევიკების წინააღმდეგ.**

დღეს გ. მახარაძისაგან დეპეშა მივიღეთ უკრაინასთან დადებული ხელშეკრულების ტექსტით, რომლის პირი აქვე გეგზავნებათ.

4. საჭიროა ყველანაირი ზომების მიღება **სამხედრო მასალის და სურსათის მიღებისა და მოწოდებისათვის.** ამ მხრივ ჩვენი მთავრობა დღეს სავსებით მხარს უჭერს იმ სიას (რაოდენობას), რომელიც ანტანტას წარუდგინა ე. პ. გეგეჭკორმა.

**საგარეო საქმეთა მინისტრის მოვალეობის ამსრულებელი**

**კ. საბახტარიშვილი.**

# კონსტანტინოპოლში საქართველოს კონსულის გოგოლაშვილის წერილი საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის სახელზე 1921 წ. 18 თებერვალი

გუშინ, 17 თებერვალს, ინგლისის ელჩის მიერ გამართულ „ბალს" დავესწარი. იგი გამართული იყო ინგლისის მეფისწულისა და ადმირალ სირ რობიკის პატივსაცემად. მიწვეული იყო დიდძალი საზოგადოება და მთელი დიპლომატიური კორპუსი. ახალ სახელმწიფოთაგან პოლონელების მინისტრისა და ჩემს გარდა, არავინ იყო მიწვეული. მით უფრო გასაკვირი იყო ჩემი მიწვევა, რომ ოფიციალურად მე აქ კონსული ვარ და დიპლომატებს ჩემთან კავშირი დიპლომატიური არ უნდა ჰქონდეთ, მაგრამ გაზეთები მუდამ სწერენ ჩემს შესახებ მთავრობის დიპლომატიურ წარმომადგენელს და მეც იძულებული გავხდი არ მეუარყო ის საქმის მიხედვით.

ზეიმზე ვინახულე სირ რობიკი, რომელიც ეხლანდელ მაღალ კომისარის წინათ, აქ ასრულებდა მაღალ კომისარის მოვალეობას. მან მომილოცა ჩვენი დამოუკიდებლობის ცნობა და მაშინვე მითხრა, რომ მდგომარეობა საქართველოში სერიოზულია, რადგანაც აზერბაიჯანმა და სომხეთმა რომ შემოუტიეს საქართველოსაო. ბოლოს დაუმატა, საშიშარი მაინცდამაინც არაფერიაო. მხოლოდ მისი აზრით, ცუდი იქნებოდა, თუ რუსეთი ოფიციალურად ჩაერია ომში. შემდეგ ვნახოთ საფრანგეთის ახალი წარმომადგენელიც, და იმან ძლიერ ცუდი ამბავი გადმომცა. მაგრამ იტალიის კომისარმა მარკიზ გარონიმ დამამშვიდა, საშიში არაფერიაო და იქვე მისცა განკარგულება მის მოთათბირეს, ხვალვე გაუგზავნეთ საქართველოს წარმომადგენელს დეპეშის პირიო. დეპეშაში იტალიის წარმომადგენელი სწერს: მდგომარეობა გამოსწორდა, საქართველოს მთავრობა რჩება ტფილისში, მხოლოდ უცხოელების მისიები წავიდნენ ტფილისიდან, გარდა იტალიისაო. ინგლისის მაღალ კომისარის მოთათბირეებთან საუბრის დროს გამოვარკვიეთ, რომ სირ რობიკი თავისი ესკადრით მოდის შავი ზღვისაკენ კვირა დილით. რა მიზანი აქვს მის გამომგზავრებას, ამის გაგებას ვცდილობ. მხოლოდ ადვილი შესაძლებელია იგი ბათუმში მოვიდეს, და რადგანაც იგი საუკეთესო მეგობარია საქართველოსი, შეიძლება მას მოელაპარაკოთ დაწვრილებით ჩვენს დახმარების შესახებ და აგრეთვე იარაღის შესახებაც. მაგის წამოსვლას ჩვენსკენ ძლიერ დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგანაც, აღმოსავლეთის საკითხების საუკეთესო მცოდნედ ითვლება და მთელი ესკადრის გამომგზავრებას შავზღვაში ალბათ რაიმე დიდი მიზანი უნდა ჰქონდეს.



# ПОСТАНОВЛЕНИЕ

## РЕВКОМА ГРУЗИИ О БЫВШЕМ МЕНЬШЕВИСТСКОМ ПРАВИТЕЛЬСТВЕ ОТ 21 МАРТА 1921 Г.

Ревком Грузии на заседании 21 марта, выслушав доклад своего уполномоченного на ведение переговоров с уполномоченным б (ывш) правительства Грузии и осведомившись о бегстве из Батума Правительства Н. Жордания, с явным нарушением подписанного его уполномоченным соглашения, причем бежавшее правительство захватило массу государственного имущества и ценностей, церковных и монастырских драгоценностей, равно как жизненно необходимых для широких масс трудящихся предметов потребления, медикаментов и т. п., — Революционный Комитет Грузии, клеймя перед лицом трудящихся всех стран грабителей народного достояния, постановляет:

**1. Соглашение, ввиду нарушения его бывшим правительством Грузии, считать несостоявшимся.**

**2. Широкую амнистию, возвещенную в декрете от 28 февраля и подтвержденную в этом соглашении, оставить в силе.**

**3. Членов бывшего правительства и всех тех, которые покинули вместе с ними пределы Грузии с похищенным у народа богатством, считать изменниками трудового народа, лишенными покровительства законов Социалистической Советской Республики Грузии, а имущество их конфисковать в пользу рабоче-крестьянской казны.**

**Газета «Красный воин» № 65, 27 марта 1921 г.; «Борьба за победу Советской власти в Грузии». Тб. 1958 с. 713.**

ამერიკის შეერთებულ შტატებში 50-იან წლებში არსებობდა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის ამერიკული საბჭო. 1956 წლის მარტში ნიუ-იორკში მან მიიღო დეკლარაცია:

**DECLARATION**

***OF AMERICAN COUNCIL FOR INDEPENDENT GEORGIA***

**IN THE GEORGIAN LANGUAGE**

ერთა ლიგა
ცნობა ერთა ლიგის
საგზოსა და წევრებს
II (27545) 12648 ჟენევა,
1923 წ. 9 აპრილი.

## ა-ნ ჩხენკელის წერილი გენერალურ მდივანს

**საქართველოს დიპლომატიური მისია, პარიზი, 1923 წლის 31 მარტი**

ბატონო გენერალურო მდივანო,

მაქვს პატივი გადმოგცეთ ჩემი მთავრობის ქვემოთ აღნიშნული მემორანდუმი იმ საშინელ დანაშაულობათა გამო, რაც ამასწინათ ჩაიდინა რუსეთის საბჭოთა ოკუპაციურმა ხელისუფლებამ.

ვაცხადებთ რა პროტესტს იმ ბარბაროსულ მოქმედებათა წინააღმდეგ, რაზეც აქ არის საუბარი, ძალიან გთხოვთ, გააცნოთ ეს დოკუმენტი ერთა ლიგის უახლოეს სხდომას, რომელიც, ვიმედოვნებ, აუცილებლად გამოთქვამს თავის მოსაზრებას ქართველი ხალხის უფლებათა ახალი დარღვევებისა და მის მიმართ მოსკოვის მთავრობის სისხლიანი დევნის თაობაზე.

**ა. ჩხენკელი**

**საქართველოს მინისტრი**

●

## შტრიხები პოლიტიკური პორტრეტისათვის

# საქართველო და რუსეთი

● **საუბარი წერეთელთან**

**მაშინ**, როცა ლილში ყრილობის ყველა მონაწილე დაკავებული იყო პარტიული გაზეთის საარსებოდ აუცილებელი სახსრების საკითხზე გაუთავებელი მსჯელობით, მე ვესაუბრებოდი ჩვენს ქართველ ამხანაგს წერეთელს, კერენსკის ყოფილ მინისტრს, ამჟამად რუსეთის მიერ ოკუპირებული საქართველოს რესპუბლიკის სოციალისტური მთავრობის საგარეო საქმეთა მინისტრს. ამჟამად დასავლეთში, ჩვენს სოციალისტურ წრეებში კარგად იცნობენ წერეთლის ლამაზ, გამხდარ სახეს ღრმა თვალებით. შეუძლებელი იყო არ გვეგრძნო მასთან შეხვედრის საოცარი მომხიბვლელობა და იმავდროულად ის დიდი პატივისცემა, რასაც ეს პიროვნება იწვევდა. მე მას ვკითხე, თუ როგორ მიდის საქმეები და რისი იმედი შეიძლება ჰქონდეს სადღეისოდ ქართველ ხალხს, რომელიც მოსკოვის ჩექმის ქვეშ მოჰყვა.

— მდგომარეობა არ არის დამოკიდებული ჩვენზე, ჩვენი ხალხის ძალაზე. უტყუარი ინფორმაცია. რომელიც იქიდან განუწყვეტლივ მოდის ჩვენამდე, გვიჩვენებს, რომ საზოგადოებრივი აზრი ძველებურად დამპყრობთა წინააღმდეგაა მიმართული. უთუოდ უნდა აღინიშნოს ისიც, რომ განხეთქილება მოხდა თვით მოსკოველ და ქართველ ბოლშევიკებს შორისაც. რა თქმა უნდა, ჩვენი ხალხი შეძლებდა ოკუპანტების გაძევებას, მაგრამ მეორე დღესვე უკან დაბრუნდებიან. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ჩვენ მხოლოდ სამი მილიონი ვართ, რომელიც უზარმაზარ, 150-მილიონიან მასას უწევს წინააღმდეგობას.

ამიტომაც ჩვენი პარტიის მოწოდებაა, არ მიიღონ გაუმართლებელი ზომები. მიუხედავად ამისა, მთებში დაიწყო გაუთავებელი პარტიზანული ომი, საერთოდ ბელგიას ნებისმიერ სხვა ხალხზე უკეთ ესმის ჩვენი სწრაფვა თავისუფლებისაკენ, რომელიც დამოკიდებულია საშინაო მდგომარეობის განვითარებასა და რუსეთის საგარეო პოლიტიკაზე. ჩვენ მხოლოდ ლოდინი შეგვიძლია.

— მაგრამ არ გეშინიათ, — ვკითხე წერეთელს, — რომ ძალიან დიდხანს მოგიწევთ ლოდინი?

წერეთელს გაეღიმა და მიპასუხა: „ამჟამად ევროპაში არსებობს ილუზია, რომ ბოლშევიზმის ამოძირკვა შეუძლებელია. თავიდანვე კი ევროპამ სხვა შეცდომა დაუშვა, იგი ემხრობოდა საწინააღმდეგო ილუზიას. მე, ამ დაბნეულობის წინააღმდეგიც ვარ ისევე, როგორც ძველის. ბოლშევიზმი დაემხობა და მაშინვე დაიღუპება. როდის? ეს მე არ ვიცი. მხოლოდ ის შემიძლია გითხრათ, რომ რეჟიმი, რომელიც ძველი წყობის ნანგრევებზე ცოცხლობს და 5 წლის მანძილზე ვერ განმტკიცდა, მყარი არ არის".

**ლ. პ.**

**1928 წ. 10 თებერვალი.**
**გაზეთი „Peaple"**

## საქართველოს
## დამოუკიდებლობის წლისთავი

**Kurjer Polski**

Redakcja Szpitalna № 12. Telefon 9-66. Administracja Zgoda № 1.
Nr. 275. WARSZAWA Rok XX. Cena N-ru w Warszawie i na prowincji 10 fenigów. Poniedziałek, d. 8 Października 1917 r.
Filje: w ŁODZI. Biuro dziennika „Promień" ul. Piotrkowska 8; we WŁOCŁAWKU: Księgarnia Kujawska Nowy Rynek.

**ექვსი** წლის წინ, 1918 წლის 26 მაისს იბერიის უძველეს დედაქალაქში — თბილისში — საუკუნოებრივი მონობის შემდეგ გამოცხადდა საქართველოს დამოუკიდებლობა. საქართველო-პოლონეთის კლუბი ამ დიადი თარიღის აღსანიშნავად აწყობს 26 მაისს დღესასწაულს, 7 საათზე რატუშის დიდ დარბაზში — სურს რა, მოაგონოს მთელს მსოფლიოს გმირი და მამაცი ქართველი ხალხის იმედები და ბრძოლა.

ბატონებსა და იმ ორგანიზაციებს, რომელთაც სურთ მონაწილეობის მიღება დღესასწაულში, ვიწვევთ ჩვენთან, ადგილების დასაჯავშნად.

უფასო შესასვლელი ბილეთები შეიძლება მიიღოთ რედაქციაში „გოლოსა ვოსტოკა", ვარეცკის ქ. 9, ტელ. 509-31.

„კურიერ პოლსკი", №.139,
22 მაისი, 1924 წ.




(Dwutygodnik)

| № 32. | Warszawa, 30 maja 1925 r. | Cena numeru 30 groszy. | Rok III. |
|---|---|---|---|

## 7-a Rocznica Ogłoszenia Niepodległości Gruzji.

### 26.V 1918 — 26.V 1925 r.

I znowu minął rok cierpień, rok męki narodu gruzińskiego.

Znowu minął rok, dyplomatycznych opowieści, o „dążeniu do szczęścia narodów", o pokoju wszechświatowym, o prawach do samodzielnego bytu krajów uciśnionych; rok traktatów handlowych i przyrzeczeń dozgonnej przyjaźni.

Ale nie zmienił się los Gruzji.

Minął rok zgrozy, zamachów komunistycznych, teroru, powstań, prześladowań, walk...

Nie zmienił się tylko los Gruzji.

Gdzież są ci, którzy wykreślają granice państw, granice dusz ludzkich?

Gdzież są ci wszechwładni mocarze? Czemu milczą?

Tak skarlał duch narodów europejskich, że nie pojmuje buntu wolności; zapomniał już, jak wszechpotężną jest miłość Ojczyzny, że zwalczy nawet śmierć.

W Gruzji śmierć zabrała tysiące; tysiące idą na ofiarę krwi.

Naród gruziński odkupić musi grzech swego istnienia, piękności, bogactw i kultury. Bo grzechem jest piękno, grzechem jest miłość, grzechem jest samo istnienie szlachetnych.

Ale naród gruziński wierzy w zwycięstwo i walczy.

A za tę wiarę i walkę Prometeusza, należy mu się cześć!

I na naszej ziemi polskiej rozległ się namiętny krzyk, rozpaczy i protestu...

Tu między nami, przebywał Wasz młody wieszcz, Sergo Kuruliszwili; płomieniem swego serca wzywał Polaków, ukazywał kraj cierpiący, bohaterski, swą czarującą Kolchidę, krainę róż... Wołał: „I Gruzja miała swe chwile szczęścia... dziś jęczy ona znowu w kajdanach niewoli...: niezrozumiana, niepojęta.

Tam każda chwila, dzień każdy, niesie głód, nędzę i śmierć.

Czy wszyscy śpią? Nikt nie słyszy rozpacznego jęku matki — gruzinki? Niech męka, naszego nieszczęsnego narodu, niech krew, którą broczą pola aksamitne bajecznego kraju; niech łza, która brylantową rosą opada z krwawych, oczu — nie ginie nadaremno!

I dziś znowu w rocznicę ogłoszenia niezależności Gruzji, ze stolicy Polski, wołamy przed całym światem, że Gruzja żyje!... żyje naród gruziński!"

I sam poeta zgasł, jak świetna bajroniczna gwiazda, wpatrzony w wizję Ojczyzny...

Ale Ojczyzna Jego, Gruzja, jeszcze jest w niewoli.

Wzywa swą Polską siostrzycę, przez męki wspólnie przeżyte, przez krew przelaną, przez przeszłość rycerską, potężną... wzywa na pomoc. Polska tę pomoc i przyjaźń duchową narodowi uciemiężonemu dać musi.

I ożyje wolna, potężna — Gruzja królowej Tamary; Gruzja—Rustawelego!

*H.*



RZĄD GRUZIŃSKI W PARYŻU Z PREZYDENTEM NOE ŻORDANIĄ NA CZELE.

## 26-y Maj.

Naród gruziński przeżywa tragedję historyczną. Jego wieczna walka o niepodległość trwa. I nie jest ona tylko walką o wolność, ale tyrania sowiecką tyrania komunizmu, grozi deprawacją moralną — gangreną ducha narodowego. Dzieje się to w chwili, gdy Europa pozwala rozrastać się idei wywrotowej—bolszewickiej, nie bacząc na to co będzie dalej.

Syty głodnego nie rozumie—mówi przysłowie; dla państw europejskich niezrozumiałą jest tragedja Gruzji, do czasu, aż sama dozna skutków moskiewskiej zarazy. Naród, który wieki dążył do niezależności, który poniósł i ponosi tyle ofiar w imię idei i wolności, musi dojść do upragnionego celu, bez względu na przeszkody. Zwracamy się do naszych katów i mówimy im: „Zostawcie nas w spokoju panami naszej ziemi; czem więcej gnębić nas będzie wasza władza, tem prędzej dosięgnie was zemsta nasza bez granic. Czekamy na dzień zemsty, aby żądać od was porachunku za krew, ofiary, ruinę"... Gruzini! Dzień 26 maja jest dniem pamiętnym dla nas, choć wrogowie bronią nam o nim pamiętać! Wy dyktatorzy, napróżno chcecie waszemi dekretami zabić ten dzień w pamięci. Napróżno zapełniacie więzienia Gruzji w ten dzień. Wrogowie, drżyjcie przed dniem tym; drżyjcie przed morzem uczuć narodu gruzińskiego. I my, choć na emigracji, w zjednoczeniu, święcimy 26 maj, gdyż on to wyrwał nas ze szponów niewoli carskiej. Wytrwałość, cierpliwść, nadzieja zwycięstwa, podtrzymywać muszą nas, a wyzwolenie nadejdzie. Nie można zwalczyć dążeń narodu, stłumić praw do samodzielnego bytu. Dzień 26 maja jest dla nas rękojmią odzyskania wolności Gruzji.

*N-dze.*

Komitet gruziński w Polsce, w 7-ą rocznicę ogłoszenia niepodległości Gruzji, urządza odczyt-koncert w salach Ratusza dnia 31 maja r. b. Po przemówieniach przedstawicieli Polski i Gruzji o znaczeniu obchodu, odbędzie się urozmaicona część koncertowa z łask. udziałem pp. Trąmpczyńskiej, Rabcewiczowej, Georgiadi, p. Wacława Kochańskiego. Początek o godzinie 12-ej w poł. Wejście za zaproszeniami.

გაზეთი „ხმა აღმოსავლეთისა" ვარშავა, 30 მაისი, 1925 წ. რედაქტორი სერგო ყურულიშვილი („ტაიფუნი"). ნომერი ეძღვნება 26 მაისს.

მე-2 გვერდის მასალები, აგრეთვე მე-8 გვერდის ის პუბლიკაციები, რომლებიც ძველი გაზეთებიდანაა ამოღებული, მოამზადა **ხულიკო ნუცუბიძემ**; მე-7 გვ.-ის მასალები — **ნანა გელაშვილმა**, (ამათგან პირველი ორი პოლონეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს საარქივო მასალაა, ჩვენში ქვეყნდება პირველად); დანარჩენი პუბლიკაციები ჰარვარდის უნივერსიტეტის არქივში მოიძია და მოგვაწოდა **ავთანდილ მენთეშაშვილმა**, ქვეყნდება პირველად.

ეროვნული ბიბლიოთეკა



სახალხო განათლება

შანსი

უე 00910

საქართველოს კპ ცკ-ს გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში. ხოშარაულის 29.

სარედაქციო კოლეგია:
ა. სილაგაძე (რედაქტორი), ა. ბუთურიშვილი, ვ. ესვანჯია, გ. თავამაიშვილი, ს. ქობულია, ბ. ქურდაძე.